სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 7 ივლისი 2005 №152 (2475) ფასი 50 თეთრი



თბილისის პირამიდა თავიდან იგება

ინტერვიუ მამუკა გუგეშაშვილთან

3



YES, ჯერარდი რჩება!

კაპიტანმა აზრი შეიცვალა

5



თავისუფლები გათავისუფლდნენ

ახალგაზრდების სამი მედალი ბილნიუსიდან

12

ლონდონი!

AFP ლონდონიდან

ბრძანა სოკმა გუშინ, ბრიტანეთის დედაქალაქის დროით 12 საათსა და 49 წუთზე

2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადას ლონდონი უმასპინძლებს — ასეთია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება. ოლიმპიადის ბედი სინგაპურში წყდებოდა. თავიდან ლონდონს პარიზი, ნიუ იორკი, მადრიდი და მოსკოვი ეცილებოდნენ, მაგრამ სამი კანდიდატის გაცხრილვის შემდეგ ბოლო ეტაპზე ერთმანეთის პირისპირ „ბებერი კონტინენტის" ორი უძველესი დედაქალაქი, ლონდონი და პარიზი დარჩა.

და 54 ხმით 50-ის წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქმა გაიმარჯვა

მეცამეტე გვერდი

IGNANO SABBIADORO

ხვალ ფინალია: საქართველო — იტალია

ლატვიელების კარში გოლები ამერელებმა რატი წინამძღვრიშვილმა (მარჯვნივ) და მირზა ბჟალავამ გაიტანეს

იტალიაში, ვენეციის მახლობელ ლინიანოში ქართველმა 18-წლამდელმა ფეხბურთელებმა ფინალს უწიეს — კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა გუშინ თანაჯგუფელ ლატვიასთან 2:2 ითამაშა და ხვალ ფინალში ახალგაზრდების ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლებს, იტალიელ თანატოლებს შეერკინება.

საქართველო ფინალშია!

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები იტალიაში მიმდინარე ახალგაზრდების ოლიმპიურ ფესტივალზე ფინალში გავიდა — გუშინ ჩვენები ლატვიელებს გაეკიბრენენ და სასურველ ფრესაც გამორჩნენ — 2:2, რითაც სამგუნდიან ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ. ფინალი ხვალ, 8 ივლისს გაიმართება და კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილი გუნდის მეტოქეები მასპინძლები, იტალიელები იქნებიან, რომელთაც გუშინ ფინელებთან 1:1 ითამაშეს. შეგახსენებთ, ტურნირის პირველ მატჩში ჩვენებმა შვეიცარია 2:1 დაამარცხეს.

ლატვიელებთან ქართველმა 18-წლამდელებმა ამ შემადგენლობით ითამაშეს: *თევდორაძე, თომაშვილი, გვასალია (ჯანელიძე), ხიდაშელი, ელბაჭიძე; ნიკოლაიშვილი (დაუშვილი), ბენაშვილი (ხუმარაშვილი), ბჟალავა, ბობოხია; წინამძღვრიშვილი, ძარია (შარანდია)*

პირველი გოლი ლატვიელებმა გაიტანეს, გამთანაბრებელი კი თბილისის „ამერის“ ფორვარდმა რატი წინამძღვრიშვილმა შეაგდო — მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და ახლოდან შედეგიანადაც დაარტყა.

ჩვენებურები ასევე ამერელი მირზა ბჟალავას გოლით დაწინაურდნენ — მირზას დარტყმული ლატვიელთა მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე იმავ ბჟალავამ უკვე აუღებელი დაარტყა.

90 წუთი გაილია, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გიორგი ხიდაშელი საკუთარ საჯარიმო მოედანში დაჯარიმდა და ლატვიელებმა 11-მეტრიანით იხეირეს.

მატჩის დასრულების შემდეგ ჟორჟიკაშვილი და მისი თანაშემწე ლევან მელიქია ფინალური მეტოქის, იტალიის თამაშის სანახავად წავიდნენ.

ლუკა თალაკვაძე

აიაქსელ არველაძეს ჰოლანდიის ჩემპიონატში 55 გოლი გაუტანია

ჩემში მწვრთნელის ბაცილა დარბის

ალკმაარის შემდეგ შოთა აიაქსში დაბრუნდება

32 წლის შოთა არველაძეს ჰოლანდიაში ყველაფერი მოგებული აქვს, ჩემპიონობა, თასი და სუპერთასიც, მაგრამ ეს ტიტულები მან „აიაქსში“ მოინაგრა, ახლა კი „ალკმაარში“ მოუწევს გარჯა ლუის ვან გაალის ხელმძღვანელობით, ხოლო მერე კიდევ ერთ საქმეს შეეჭიდება. დანარჩენს შოთას ნაუბარიდან შეიტყობთ...

— როგორ მიდის პირველი ალკმაარული დღეები?

— ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს, მაგრამ ისაა, რომ ცოტა მოწყენილი ვარ, ჯერ ბინა არ მაქვს და სასტუმროში ვცხოვრობ.

— რამდენიმე დღეა, რაც შეიკრიბეთ, ჯერ, ალბათ, ფიზიკურ დატვირთვებზეა აქცენტი გადატანილი და ვან გაალი, როგორც მწვრთნელი, ჯერ, ასე ვთქვათ, არ ჩანს...

— პირიქით, ის უკვე ჩანს — დღევანდელი მეორე ვარჯიში ცოტა გაიწელა და როგორც კი შეატყო, რომ ფეხბურთელებს დაღლის გამო ვარჯიშისას წუნი შეგვეპარა, გვითხრა, მოედანს ორი წრე დაარტყით და სახლებში წადითო.

— გავიგეთ, ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას აპირებ — „ალკმაარში“ იმის გამოც ხომ არ გადახვედი, რომ გუნდს ვან გაალი წვრთნის და მისგან, როგორც მომავალი მწვრთნელი, ბევრს ისწავლი?

— მთლად ასეც არაა. „ალკმაარი“ გასულ სეზონში უეფას თასის ნახევარფინალში გავიდა, ვან გაალსაც ჩემი აყვანა ძალიან უნდოდა და კლუბსაც ფინანსურად არაფერი უჭირს — ყველაფერი ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა. კიდევ ის, რომ რასაც ამ ორ წელიწადში ვან გაალისგან ვისწავლი, ფული ღირს, მე კი ფულს ახლა აქეთ მიხდიან.

— ფეხბურთელობის შემდეგ მწვრთნელობა უკვე მტკიცედ გადაწყვიტე?

— ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელობის რაღაც ბაცილა მგონი მართლაც დარბის ჩემში.

— მიგაჩნია, რომ მწვრთნელობა უმადური პროფესიაა?

— მწვრთნელობა მართლაც უმადური პროფესიაა საქართველოშიც და უცხოეთშიც, მაგრამ თვითონ ფეხბურთიც უმადურია, ხანდახან გულშემატკივრებიც უმადურები არიან და ასე ხდება ყველგან. ალბათ, აქ პროფესია არაფერ შუაშია, თვითონ ცხოვრებაა ასეთი.

— ოთხ აიაქსურ სეზონში — ჰოლანდიის ჩემპიონატის 94 მატჩში 55 გოლი გაიტანე — „ალკმაარში“ ასეთი თანაფარდობის შენარჩუნება ალბათ უფრო ძნელი იქნება...

— ცუდად არსად მითამაშია, ყველა გუნდში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ვიყავი. მართალია, წლები და ტრავმები მემატება, მაგრამ ახლა თამაშების და გოლების თვლას კი არ უნდა შევუდგე, არამედ თამაშის ხარისხი უნდა შევინარჩუნო. „რეინჯერსში“ ბოლო მატჩები კარგად ვითამაშე, ფიგუს ვარსკვლავთა გუნდში თამაშითაც კმაყოფილი დავრჩი, მოკლედ, იმედიანად ვარ, ტრავმების მერე საკუთარ თავს გამოცოცხლებას ვატყობ.

— ნაკრებში თამაშს კვლავაც აპირებ?

— ეს ჯერ ვერ გადამიწყეტია. ჩემს ბოლო სანაკრებო შეხვედრაში გულშემატკივრები ჩემ მიმართ ისე განეწყვნენ, რომ ბოლო დროს ასე არავის მიმართ არ ყოფილან განწყობილნი. მოკლედ, ჩემზე ალერგიერესი და ხალხი სხვანაირად ფიქრობენ.

— შენი და შენი ძმების მიერ დაარსებული ფონდის ეგიდით სანდრო იაშვილი შესაძლოა, „რეინჯერსში“ გადავიდეს — რა იქნება ამ ფონდის მომდევნო პროექტი?

— ვან გაალს და „აიაქსის“ მთავარ მწვრთნელ დენი ბლინდს უკვე შევუთანხმდი, რომ თუ რომელიმე ქართველ მწვრთნელს მათთან სტაჟირების სურვილი აღმოაჩნდება, ისინი ამაზე თანახმანი იქნებიან.

— თვითონ საიდან აპირებ მწვრთნელობის დაწყებას?

— ბლინდმა უკვე შემომთავაზა სამსახური, ფეხბურთელობას რომ მორჩები, „აიაქსის“ საფეხბურთო სკოლაში მოდი 15-16 წლის ფეხბურთელების მწვრთნელადო. ბლანდს მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, ეს ძალიან მსურს-მეთქი. მოკლედ, ვნახოთ...

დავით თავართქილაძე

გენმდივნობა დარსაძეს უთხრეს

რას იტყვიან აღმასკომზე?

ფეხბურთის ფედერაციიდან და სამთავრობო სტრუქტურებიდან გამოჟონილი ბოლო ინფორმაცია ასეთია: ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივნად გაიოზ დარსაძე დაინიშნება და მის კანდიდატურას ახლადარჩეული აღმასკომი ერთხმად დამტკიცებს.

ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ახალი კადრების დანიშვნაზე ბევრს ფიქრობს. აქეთ გენმდივანი, ანუ მარჯვენა ხელი, იქით ვიცე-პრეზიდენტები, კომიტეტების უფროსებიო... ისიც შეეიტყვეთ, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგა დატოვა ნოდარ კაკულიამ, ვინც პროფლიგის საშეჯიბრო საქმეებს განაგებდა და მალე ალბათ სამსახურს ფედერაციაში განაგრძობს.

მოკლედ, ვარაუდი ბევრია და ფედერაციის დაკომპლექტებაც, ეფიქრობ, საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა... თუმც გავიგეთ, რომ ნოდარ ახალკაცი აღმასკომის შეკრება-გადარჩევას და ახალი თანამშრომლების დანიშვნას 14 ივლისისთვის აპირებს.

კოგა ინასარიძე

კახა ცხადაძის 26 საკვალიფიკაციო

ბადრი კეთილაძის ფოტო

გერმანულ-შვეიცარიული შეკრებიდან დაბრუნებულმა საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ გუშინ უეფას ის შემადგენლობა-განაცხადი გაუგზავნა, რომლითაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს.

შემადგენლობაში 26 ფეხბურთელია, მათ შორის — ლობჟანიძე, ჩირიკაშვილი, მერებაშვილი — „დინამო 2“-დან.

მაშ ასე, „დინამო“:

მეკარეები: 1. ზოიძე, 12. სტურუა, 22. თოთლაძე;

მცველები: 2. ქემოკლიძე, 3. კანდელაკი, 4. გივაური, 6. ალადაშვილი, 14. ლობჟანიძე, 24. ორბელაძე, 25. თომაშვილი, 26. აკობია;

ნახევარმცველები: 7. გრიგალაშვილი, 8. ბაბუნაშვილი, 9. ნოზაძე, 13. ნერგაძე, 15. ჩირიკაშვილი, 16. ჭელიძე, 17. მერებაშვილი, 19. ფირცხალავა, 20. მახარაძე, 27. ნავალოვსკი, 28. ოდიკაძე;

თავდასხმელები: 10. მეგრელაძე, 11. ბობოხიძე, 18. მელქაძე, 29. დვალიშვილი

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

შეგახსენებთ, თბილისის „დინამო“ 12 ივლისს „ლევადიას“ ტალინში ეთამაშება, 19-ში თბილისში. ესტონელებთან გამარჯვების შემთხვევაში „დინამო“ ერთი კვირის შემდეგ დანიურ „ბრონდბიუს“ უმასპინძლებს და კიდევ ერთ კვირაში კოპენჰაგენს ესტუმრება.

კოგა ინასარიძე

შვედეთი

ალსვენსკა XIII ტური

გეფლე 0:2 გიოტებორგი

ამხანაგური მატჩი

ბაზელი 0:2 კაიზერსლაუტერნი

იაპონია

ჯეი ლიგა. XIV ტური

ნიიგატა 3:2 კობე
სერეზო 2:0 იჩიჰარა
კაშივა 0:0 ოიტა
ომია 0:2 ივატა
ჰიროშიმა 1:2 გამბა
შიმიცუ 2:2 ნაგოია
ვერდი 0:7 ურავა
იოკოჰამა 2:1 კაშიმა
კავაზაკი 0:0 ტოკიო

თბილისის პირამიდა ახლიდან იგება

მამუკა გუგეშაშვილი: წაგებაში ვართ, ლეგიასთან რეალობა დავინახეთ



ორი წლის წინ დაარსებულმა „თბილისმა" მალევე მოიპოვა სიმპათია ქართველ ქომაგებში. პირველივე სეზონში გუნდმა უეფას თასზე გააღწია და, მართალია, მწარე ევროპული გაკვეთილიც მიიღო, მაგრამ ყველა ხედავდა, რომ საქართველოში წამოვიდა პერსპექტიული ფეხბურთელების მთელი ნაკადი.

...მაგრამ საქართველოში ძლიერი კლუბის შექმნა ქარის წისქვილთან ბრძოლასავითაა. „თბილისში" რეორგანიზაციის პერიოდი დადგა, ჯერ ზამთარში წავიდა 15 ფეხბურთელი, ახლა კი მეტ-ნაკლებად ცნობილი მოთამაშეებიც კი აღარ დარჩნენ. „თბილისი" დაიშალა... კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა გუგეშაშვილი იმის თქმას არასოდეს გაურბოდა, რაზეც სხვები პირში წყალს იგუბებდნენ. გუგეშაშვილთან საუბარი „თბილისის" აკვნის დარწევით დავიწყეთ, მერე კი დღევანდელობაზეც ვთქვით...

— კლუბის დაარსების იდეა ნიკა დოლიძისგან წამოვიდა. მან ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ირაო" შექმნა, მერე მეც დამიძახა და იქ ერთად ვმუშაობდით. მაგრამ უფრო ფართომასშტაბიანი კლუბის გაკეთება გადავწყვიტეთ. ჩემს მეგობარ თემურ უგულავას ფანატიკურად უყვარს ფეხბურთი, იგი დოლიძესთან დავაახლოვე და ჩამოვაყალიბეთ სკოლა „ოლიმპი". იქ მუშაობის პირველივე დღიდან პრიორიტეტად ხარისხი დავსახეთ, მერე კი შედეგი. პირამიდული პრინციპით მოვდივართ: ბავშვებს ვილებთ, შემდეგ საუკეთესოებს ვარჩევთ. სელექციაში პატარ-პატარა შეცდომები ყველას მოუვა, მაგრამ არასოდეს გვიფიქრია, არიქა, ბევრი ბავშვი მივიღოთ, რათა ფული ვიშოვოთო. ამიტომაც, მგონი, „ოლიმპი" ერთადერთი სკოლაა, ფინანსურად მინუსში რომ ვართ. „თბილისის" დაარსებაც ამ პირამიდის ნაწილი იყო. ორი წლის განმავლობაში ჩვენგან 32 ფეხბურთელი მივიდა საქართველოს ეროვნულ, ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებში.

— თითქმის ყველაფერი კარგად მიდიოდა, „თბილისი" „დინამოსაც" ეტოქებოდა ჩემპიონობისთვის, მაგრამ ზამთარში ბევრი ფეხბურთელი გაუშვით გუნდიდან. ამის მიზეზი საქართველოში კლუბების წამგებიანობაა?

— ჩვენი მიზანი საქართველოში მაქინაციებით დაკავებული პირველი ადგილი კი არა, ევროპაში ნორმალურად თამაში იყო. „ლეგიასთან" ჩვენ ყველაფერს თვალებში შევხედეთ: ჯერ პოლონეთის ჩემპიონატი რა არის და მათაც რომ გვარიანად ჩამორჩები...

— ამბობენ, „თბილისს" შეიძლება ახალი მეპატრონე გამოუჩნდესო.

— ვინც არ უნდა მოვიდეს, ძალიან გაუძნელდება. ბევრს რომ ჰგონია, კლუბი მხოლოდ ტრანსფერებით იარსებებს, ასე არ არის. ევროპის ყველა ნორმალური კლუბის ბიუჯეტში მხოლოდ 20 პროცენტია ტრანსფერებიდან შემოსული თანხა. მარტო 3-4 გაზეთი კი არა, ტელევიზიებიც ჩაბმულნი უნდა იყვნენ ჩემპიონატში, ქომაგები ფეხბურთელის მაისურას უნდა იტაცებდნენ. ეს ყველაფერი ნულზეა: ევროპული ტოტალიზატორები რომ თავიანთ პროგრამაში საქართველოს ჩემპიონატს ჩართავენ, მერე გაგვიცნობენ. დღეს „თბილისს" არა აქვს ძლიერი კლუბისთვის საჭირო ფინანსები.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— წეღანაც ვთქვი, „ოლიმპში" შედეგზე მეტად ხარისხზე ვფიქრობთ-მეთქი. საქართველოში აღდგენითი ცენტრი არ არსებობს, რათა ბავშვმა გაიგოს, რა ვიტამინები აკლია, რაზე უნდა იმუშაოს. ეს ძალიან საჭირო ატრიბუტია. ან სად არიან ჩვენთან ფიზმომზადების მწვრთნელები? ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა სწორედ ბავშვია ფეხბურთიდან უნდა დაიწყოს მუშაობა.

— „ოლიმპიდან" ნიჭიერი ბავშვი „თბილისში" მოხვდება, მაგრამ ბევრი ბავშვთა სკოლაა, სადაც ფეხბურთელი იზრდება და მას კლუბში არავინ ეძახის...

— ფედერაციამ ისიც უნდა ილონოს, რომ მენეჯერებმა ხელები არ აფათურონ ბავშვთა სკოლებში. ვინ იცის, რამდენი ჭაბუკი წაიყვანეს, გზა აურიეს, შეჰპირდნენ და კლუბი ვერ მოუნახეს. აქვე ვიტყვი, რომ „ოლიმპის" ფილიალები გავხსენით ონში, სანზონაში, გვინდა რაიონებში გავაფართოვოთ არეალი. ახლახან ზუგდიდიდან 1991 წელს დაბადებულები ჩამოვიყვანეთ თბილისში, მათთვის ბინებს ვქირაობთ და ვცდილობთ, ნორმალური პირობები შევუქმნათ.

— საქართველოს ჩემპიონატში დონის ასამაღლებლად ფედერაციამ რა უნდა გააკეთოს?

— უნდა შემუშავდეს კანონი, რომ ყველა კლუბს 19-20 წლის 4-5 ფეხბურთელი მაინც ჰყავდეს. დიდ პატივს ვცემ იური გაბისკირიას, მაგრამ მის გვერდით ჭაბუკები ხომ უნდა თამაშობდნენ, რათა გამოცდილება შეიძინონ?! თუ რაიონებში ფეხბურთის განვითარებაზე ფიქრობენ, რამდენიმე ფეხბურთელი აუცილებლად ადგილობრივი უნდა იყოს.

— 16-გუნდიანი ჩემპიონატი მისაღებად მიგაჩნიათ?

— კარგია, მაგრამ საქართველოსთვის ნაადრევი მგონია. გუნდების 80 პროცენტს სტადიონი და ფინანსები არა აქვს. ვიცი, რაც მოხდება: ემოციური მუხტი იქნება, აფხაზეთისა და ოსეთის გუნდები თამაშობენ, გეოგრაფია გაფართოვდა, მაგრამ მთავარი ხომ დონეა. მის ამაღლებას კი ჯერ არაფერი ეტყობა, ამიტომაც 3-4 თვეში ინტერესი ჩაკვდება...

— ფედერაციას სხვაც ბევრი აქვს საფიქრალი: ჩაწყობილი თამაშები და სტადიონზე არეულობები...

— ეს პრობლემა უფრო კლუბის ხელმძღვანელებისა და მწვრთნელების მოსაგვარებელია. მაგალითად, „თბილისის" გულშემატკივარი რომ დაინახავს, გუგეშაშვილი იგინება და მსაჯებზე იწევს, თვითონაც ამყვება. ქუთაისში 0:1-ს ვაგებდით, თითქოს „ტორპედოს" რაში აწყობდა თამაშის ჩაშლა, მაგრამ... იმ დროს „თბილისთან" ერთად რომ ყოფილიყავით, დაინახავდით, ვისი ბრალი იყო არეულობა. რაც შეეხება ჩაწყობებს: ბოლოსწინა ტურში „ვიტ ჯორჯია" — „ტორპედო" რომ გარიგებული იყო, ამას ვიტელთა ერთ-ერთი ხელმძღვანელიც ამბობს. მან ისიც თქვა, ჩვენი მწვრთნელი შეეწირა ამ წაგებასო. ისე, სხვა წლებთან შედარებით, გასულ სეზონში ჩაწყობები მინიმუმამდე შემცირდა. მოკლედ, თავად კლუბის თავკაცებმა უნდა დაიცვან თამაშის წესები, თორემ სტადიონზე მაყურებელი საერთოდ აღარ მივა და ევროთასებზეც პირველი ეტაპის იქით ვერასოდეს გავალთ.

— ახლა „თბილისის" საამსეზონო მიზნებზეც ვთქვათ. 6 ფეხბურთელი „ბორჯომში" გაუშვით, გუნდი თითქმის მთლიანად დაიშალა...

— მესხი სამი დღის წინ გახდა ბორჯომელი, გუშინ კი მას გეწაძე, ჯიქია, მიქიაშვილი, აფციაური და ლოლაძე მიჰყვნენ. შარშანდელი ძირითადი შემადგენლობიდან მხოლოდ ელენტი და ფოფხაძე დავიტოვეთ, თუმცა მათ თუ წასვლა მოუნდებათ, არ დავაკავებთ. ისე, ელენტს ან ფოფხაძეს კაპიტნად მოვიაზრებთ, მათ გარშემო გვინდა ახალი გუნდის გაკეთება. მთლიანად ჩვენი სკოლის 1987-88-89 წლებში დაბადებულები გვეყოლებიან. მათ შორის ამჟამად ოლიმპიურ ფესტივალზე მოთამაშე 18-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელებიც იქნებიან.

— როგორც ჩანს, მაღალი ადგილებისთვის ვერ იბრძოლებთ.

— დიახ, ჩვენი მიზანია, არ ჩავვარდეთ. ისე, კლუბების დონე რომ ვიცი, დარწმუნებული ვარ, უფრო პატარებიც რომ ვათამაშოთ, ბევრს ვაჯობებთ. ამ ბიჭებს შევათამაშებთ და დროთა განმავლობაში ისეთი გუნდი გაკეთდება, რომელიც იგუნდაც „ლეგიას" შეებრძოლება.

— მწვრთნელად გოჩა თამაზაშვილი იმუშავებს?

— მწვრთნელის საკითხი ჯერ ბოლომდე არ გადაგვიწყვეტია.

— გოჩა ხოჯავასა და გოგი ფიფიას შესაძლო ტრანსფერზეც გვითხარით.

— ხოჯავა ყაზანის „რუბინში" ისინჯება. ფიფიას კი 12 ივლისს თურქეთის „ქაისერი" — „ალბიზლის" ტესტ-მატჩში ორივე გუნდი დააკვირდება და ალბათ ერთ-ერთთან კონტრაქტსაც გააფორმებს.

— ახალ სეზონში „თბილისი" საშინაო მატჩებს სად გამართავს?

— როგორც იცით, ავლაბრის სტადიონი ჩვენ აღარ გვეკუთვნის, თუმცა იქ ოქტომბრამდე ვითამაშებთ. როგორც კი „ოლიმპის" სკოლაში ახალი სტადიონი აშენდება, მაშინვე იქ გადავალთ. ჩვენი მეორე გუნდი „ოლიმპი" პირველი ლიგის მატჩებს ჩვენივე სკოლის ხელოვნურსაფარიან მინდორზე გამართავს, ოღონდ, ჯერ ფედერაციისგან თანხმობა უნდა მივიღოთ.

ილია ნანობაშვილი

თბილისელებს ერთმანეთთან განშორება არ უნდოდათ, მაგრამ...



ბანანცი ხუმრობს

პრეზიდენტმა წაგება და მეგობრობა დაგვიბარა

საბჭოეთის დაშლის შემდეგ ქართულ-სომხური კლუბები ოფიციალურად ერთხელ გადაეყარნენ ერთმანეთს, 1996 წელს თასების თასზე ბათუმის „დინამომ“ ორივე შეხვედრა მოუგო ერევნის „არარატს“, მაგრამ ტყუილუბრალოდ გაისარჯა. პირველ შეხვედრაში ბაუმელებმა განაცხადში არმყოფი ფეხბურთელი ათამაშეს და 0:3 წაგება ჩაუთვალეს. რევანშის შანსი თბილისს „ლოკომოტივს“ აქვს, რომელიც უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სომხურ „ბანანცს“ ხვდება — ერევანში 14 ივლისს, თბილისში კი 28 ივლისს

რკინიგზელთა მეტოქეს საკმაოდ გაელენიანი პრეზიდენტი ჰყავს. სარგის ისრაელიანმა კლუბი 13 წლის წინ ჩამოაყალიბა, არცთუ პატარა თანხა ჩადო და მას შემდეგ გუნდი მუდმივად პრიზიორებში ტრიალებს. ისრაელიანი „ლოკომოტივთან“ შეყრას იმედიანად ელის, რაც მისი „სარბიელთან“ ნაუბარიდანაც ჩანს...

— ბანალურობაში თუ არ ჩამითვლით, ევროტურნირებზე სუსტი გუნდები არ თამაშობენ. ცხადია, ანდორისა და მალტის კლუბებს არ ვგულისხმობ, „ლოკომოტივი“ უძლიერესი მეტოქე არაა, ამიტომაც შანსი გვაქვს.

— „ლოკომოტივზე“ რა ინფორმაცია გაქვთ?

— თითქმის არავითარი. ვიცი, რომ თურქეთში არიან შეკრებაზე და სეზონის შემდეგ ორი ფეხბურთელი, მეკარე და თავდამსხმელი გამოაკლდათ. თუ არ ვცდები, ორივე საქართველოს ნაკრების წევრია. „ლოკომოტივის“ თამაშის ფირი კი მწვრთნელმა ნახა, მე ვერაფერს გეტყვით.

— „ბანანცში“ რამდენიმე ლეგიონერია, მათ შორის ორი ქართველიც. მათზე რას გვეტყვით და „ლოკომოტივთან“ მატჩამდე თუ აპირებთ ვინმეს დამატებას?

— ორივე ქართველი კარგი ფეხბურთელია. მეკარე მანუჩარ ივარდავა და ნახევარმცველი გიორგი ფურცელაძეც ძირითადში თამაშობენ. გუნდში სომხეთის ეროვნული ნაკრების ორი და ახალგაზრდული ნაკრების სამი მოთამაშე გვყავს. აბა, ვის არ უნდა შემადგენლობის გაძლიერება, მაგრამ ამ ეტაპზე მათითაც კმაყოფილი ვარ. კარგა ხანია, ჩემპიონატში არ წაგვიგია, ბოლო ტურში „კოტაიკთან“ შინ 1:1 ვითამაშეთ.

— უეფას საკვალიფიკაციოზე მხოლოდ „ლოკომოტივის“ გავლაზე ფიქრობთ, თუ უფრო დიდი მიზნები გაქვთ?

— „ლოკომოტივთან“ შანსებს თანაბრად ვაფასებ. ისე კი, თუ ღმერთმა გადმოგვხედა, უეფას თასის ფინალში უნდა გავიდეთ. ვხუმრობ, რა თქმა უნდა... სომხეთის ჩემპიონატში კი მეორე ან მესამე ადგილას აუცილებლად დავიკავებთ.

— ქართველებისა და სომხების დაპირისპირებას ყოველთვის სხვა ლაზათი ჰქონდა. ალბათ, ახლაც განსაკუთრებულად ეკიდებით „ლოკომოტივთან“ თამაშს.

— არც უმაგისობაა. „დინამო“ — „არარატის“ შეხვედრები ერთ რამედ ღირდა. იყო ბრძოლა და მაინც მეგობრობა იმარჯვებდა. დღესაც ვმეგობრობთ დიდ ქართველ ფეხბურთელებთან — ჩივაძესთან, შენგელიასთან, ძოძუაშვილთან, სულაქველიძესთან. ნეტავ, ახლაც ასეთი მოთამაშეები ჰყავდეთ ქართველებსაც და სომხებსაც.

ილია ნანოგაფშვილი

ტორპედომ ოდნავ ამოისუნთქა

მემარნიშვილი და ბაქრაძე საბატმოდ

ქუთაისის „ტორპედომ“ საუეფასთასო განაცხადი უკვე შეადგინა, თუმც ვაკანტური ადგილებიც დატოვა, რადგან არ არის გამორიცხული, ამ დღეებში ოთარ გაბელიას გუნდს ერთი-ორი ფეხბურთელი შეემატოს.

როგორც გავიგეთ, დღეს-ხვალ ქუთაისში ჩავლენ მცველები — გიორგი მემარნიშვილი და დავით ბაქრაძე, ისინი „ტორპედოსთან“ ერთად ივარჯიშებენ და ბელარუსის ბატესთანაც ითამაშებენ. მემარნიშვილიცა და ბაქრაძეც ახლახან სწორედ „ტორპედოდან“ გადავიდნენ „ბორჯომში“ და მომავალ სეზონს სწორედ ქართლურ გუნდში გაატარებენ. უბრალოდ, ისინი ქუთაისელებს საუეფასთასოდ დაეხმარებიან.

შეგახსენებთ, „ტორპედოში“ ორიოდ დღის წინ დაბრუნდა ნახევარმცველი დავით ბოლქვაძეც, ხოლო ვეტერანი კახა კვეტენაძის დამატება ვერ მოხერხდა — ქუთათურებმა აზერბაიჯანული „გუსარიდან“ მისი ტრანსფერის გამოსყიდვა ვერ შეძლეს.

ილია ნანოგაფშვილი

ბიჭები შევარდნისაო

თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ 1994 წელს დაბადებულ ყმაწვილებს შორის ქალაქის ჩემპიონატი ჩაატარა და ტურნირი „შევარდენი 1906“-მა მოიგო, რომლის პრეზიდენტი მალხაზ გუგავაა.

რევაზ წერეთლის გაწვრთნილმა შევარდენელებმა ნახევარფინალში „მიმინოს“ ძლიეს — შინ 1:3 დამარცხდნენ, მაგრამ სტუმრად 6:2 იმარჯვეს, ფინალში კი „შევარდენმა“ „ირაოს“ მოუგო 2:0 — გურამ ცხოვრებოვის სახელობის თასი „შევარდენს“ გრიგოლ ცაავამ გადასცა.

ლუკა თალაკვაძე

ჩვენ მზად ვართ

ცხინვალს სტადიონის და გუნდის არ რცხვენია

„ცხინვალი“ უმაღლეს ლიგაში ბეჩავობას არ აპირებს, გუნდს ნელ-ნელა ემატებიან ახალი ფეხბურთელები და ინფრასტრუქტურულ პრობლემებსაც ასე თუ ისე აგვარებს. გუშინ გორის „ქართლის“ სტადიონზე (სადაც ცხინვალელები საშინაო მატჩებს გამართავენ) შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი მისულა და ზურაბ მაისურაძის გუნდს შეჰპირებია, არაფერს გაგიჭირვებთო.

რა იგულისხმება ამ „არაფერში“? როგორც გაირკვა, „ქართლის“ სტადიონს გაალამაზებენ, გასახდელებს და საშხაპეებს შეაკეთებენ. „ცხინვალის“ უფროსმა ზურაბ ნასუაშვილმა თქვა, მინდორს წუნი არ აქვს, ამ მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში, მაგრამ ვიზუალურად ცუდად გამოიყურებაო. მშენებლობა უკვე დაწყებულია და ვნახოთ, ჩემპიონატის დაწყებამდე დასრულდება თუ არა ყველაფერი.

ერთი სიტყვით, „ცხინვალის“ პრეზიდენტი მიხეილ ქარელი იქნება, კლუბში ბიზნესმენებისგან ფულის დაბანდება კი თითქმის გამორიცხულია. რაც შეეხება ახალ ფეხბურთელებს: ბექა და გიორგი ჩიტაიების გარდა, უკვე ცხინვალელები არიან ფოთის „კოლხეთიდან“ წასული მიხეილ თაყაძე, ექსბათუმელი მეკარე რამაზ სოღოლაშვილი და თავდამსხმელი პაატა გამცემლიძე, რომელიც „ვიტ ჯორჯიადან“ გეხსომებათ, ბოლოს კი იგი რეგიონალლიგელ „პრემაში“ თამაშობდა.

ნასუაშვილის თქმით, თითქმის გადაწყვეტილია გორის „დილას“ თავდამსხმელ საბა სულთანიშვილის გადაყვანა. ასევე ლაპარაკია „თბილისის“ ორი ფეხბურთელის „ცხინვალში“ წასვლაზე, თუმცა მაინ გვარები არ ხმაურდება. ისე კი, გეწაძის ან ჯიქიას გაცხინვალელება ნაკლებად სავარაუდოა, უფრო გამოუცდელ მოთამაშეებზეა ალბათ ლაპარაკი.

„ცხინვალის“ საუძაღლესლიგო მიზანი გამოკვეთილია: მთავარია, არ შევრცხვეთ და გუნდი გუნდს ჰგავდეს, მაგრამ კიდევ უფრო მთავარი პოლიტიკური ფაქტორიაო...

ილია ნანოგაფშვილი





ალბერტ ფალიაშვილის ფოტოები

„ცხინვალის“ სტადიონს შარშან ასეთი ტრიბუნა და გასახდელი ჰქონდა

YES, ჯერარდი რჩება!

საოცარი ამბავია, „ლივერპულის“ კაპიტანი სტივენ ჯერარდი სამშაბათს გუნდში დარჩენას სასტიკად უარობდა და აი, უცბათ ოთხშაბათის სიურპრიზი — გუშინ „წითლების“ კაპიტანმა აზრი იცვალა.

არადა, შეგახსენებთ, რას ამბობდა ჯერარდი აქამდე — ის გაღიზიანებული აცხადებდა, რომ იძულებული შეიქნა ცხოვრების უმძიმესი გადაწყვეტილება მიეღო. ამბობდა, რომ „ლივერპულიდან“ წასვლას თავში აზრადაც არ გაივლებდა, მითუმეტეს, 23 მაისს სტამბოლში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში განცდილი სასწაულებრივი ტრიუმფის შემდეგ. მაგრამ იმ ამბებმა, რომლებიც მის გარშემო ბოლო ხუთ თუ ექვს კვირაში დატრიალდა, აიძულა საყვარელ კლუბსა და გარემოზე უარი ეთქვა.

ერთი პირობა, კაპიტანმა ისიც კი შეჰყვირა მსოფლიოს გასაგონად, ამ კლუბში იდიოტი ხომ არ ვგონივართო და.... როგორც გაირკვა, პარასკევს სწორედ ამ კლუბთან მოაწერს ახალ კონტრაქტს ხელს.

„ვერაფრით წავიდოდი „ლივერპულიდან“ — უთხრა კაპიტანმა კლუბის ვებ-გვერდს — გუშინ, მთელი დღე ჩემს გადაწყვეტილებაზე ვფიქრობდი, საკუთარ თავს ვეკითხებოდი, თუ რას ვაკეთებდი. გამოვრთე ტელეფონი, ტელევიზორი და ფიქრებში წავედი. გავიხსენე ყველაფერი, რა და როგორ მოხდა, რამაც მიმახვედრა, რომ არსად წამსვლელი არ ვიყავი. მე „ლივერპული“ ძალიან მიყვარს და ამ კლუბის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. ჩემი გული სამარადჟამოდ „ლივერპულს“ ეკუთვნის“.

ძალიან საინტერესოა ის გარემოებაც, რომ სტივენ ჯერარდმა ამის შემდეგ კაპიტნობიდან გადადგომა გადაწყვიტა. მაგრამ ეს უკვე გუნდის ესპანელმა მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა დაიჭირა ძორს.

„დიახ, მართალია, რომ ჯერარდმა კაპიტნობაზე სცადა უარის თქმა, მაგრამ მე ჩვენი ფეხბურთელების ერთ ნაწილს ველაპარაკე და ისევ იმ დასკვნამდე მივედით, რომ „ლივერპულის“ კაპიტანი სწორედ სტივენ ჯერარდი უნდა იყოს“ — განაცხადა ბენიტესმა.

კლუბის აღმასრულებელმა შეიმა რიკ პერიმ მიანიშნა, რომ ჯერარდი დათანხმდა მის მიერ შეთავაზებულ ახალ პირობებს, რომლის თანახმადაც, იგი კვირაში 100 მილიონ გირვანქას მიიღებს, რაც დოლარებში 175 500 დოლარის ტოლფასია. აღსანიშნავია, რომ გუშინ დილით პერიმ ახსენა ბოდიში, რომელიც მან ჯერარდს მოლაპარაკებების დროს თითქოსდა წარმოქმნილი გაუგებრობისთვის მოუხადა. ინგლისური გაზეთები კი ვარაუდობენ, რომ სტივენ ჯერარდი მასთან გამართული საკონტრაქტო მოლაპარაკებების საუჯვოდ დაბალმა ტემპმა გააღიზიანა.

პაპუნა კედია

25.05.05 ჯერარდი რჩება

„ლივერპული“ სტამბოლში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, უდრამატულეს შეხვედრაში ამარცხებს „მილანს“ და მატჩის ერთ-ერთ გმირად ინგლისური გუნდის 25 წლის კაპიტანს, სტივენ ჯერარდს ასახელებენ. ამ შეხვედრის შემდეგ ჯერარდი აცხადებს, რომ მისი სხვაგან გადასვლა წარმოუდგენელია.

„ასეთი ღამის შემდეგ, როგორ შეიძლება „ლივერპულის“ დატოვებაზე ვიფიქრო? მე ამ კლუბში ბედნიერი ვარ. ცოტა ხანში მწვრთნელსა და თავმჯდომარესთან მელის მოლაპარაკებები და ამას ბუნებრივია, კარგი პირი უჩანს“.

შეგახსენებთ, რომ სტამბოლის ფინალში, პირველი ტაიმის შემდეგ „ლივერპული“ 0:3-ს აგებდა, მეორეში კი სამი გოლი გაიტანა და საქმე პენალტებამდე მიიყვანა, სადაც გაიმარჯვა კიდეც. ამ შეხვედრაში ჯერარდმა სამ სხვადასხვა პოზიციაზე ითამაშა თანაბრად ძლიერად. მანვე გაიტანა ლივერპულელთა პირველი გოლი.

16.06.05 მოდი ვილაპარაკოთ

„ლივერპულის“ აღმასრულებელი შეფი რიკ პერი აცხადებს, რომ სულ მალე სტივენ ჯერარდთან მოლაპარაკებებს დაიწყებს.

„ჩვენი პრიორიტეტი სტივენის შენარჩუნება და მის გარშემო ახალი გუნდის აგებაა“ — უთხრა პერიმ **BBC**-ს რადიოს — სანამ მას „ლივერპულში“ ყოფნა ენდომება, იგი „ლივერპულში“ დარჩება“.

ამ ინტერვიუში შეფს ეტყობა, რომ ძალიან მოწადინებულია ხალხმა ირწმუნოს, თითქოს ლივერპულელთა თილისმა არსად წავა და, რომ იგი ამ თილისმასთან ყველაფერს მოაგვარებს. პერი რამდენჯერმე იმეორებს, რომ მისთვის და კლუბისთვის სტივენ ჯერარდზე დიდი პრიორიტეტი არ არის, ხოლო თავის მხრივ ფეხბურთელიც ადასტურებს, რომ მოლაპარაკებებისთვის მზად არის.

„ბურთი ახლა „ლივერპულის“ მოედანზეა. ჩვენ ახალი კონტრაქტისა და მისი პირობების შესახებ არ გვილაპარაკია და არც ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს მოლაპარაკებები. ეს კლუბზეა დამოკიდებული“.

აქა ამბავი სიყვარულისა და ჩხუბისა



სტივენ ჯერარდი და „ლივერპულის“ თავმჯდომარე რიკ პერი მორიგდნენ

20.06.05 ის ჩემი პაპიტანია

„ლივერპულის“ მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი ყველას გასაგონად აცხადებს, რომ სტივენ ჯერარდს იგი გუნდის ცენტრალურ ფიგურად განიხილავს.

„ჩვენ ჯერარდის ბეჭებისა და მუსკულატურის განსავითარებლად საგანგებო პროგრამა მოვიგონეთ, რადგან გვინდა უახლოეს წლებში მან ბევრი დიდი ჯილდოს აწევა შეძლოს. მე მის გარშემო დიადი გუნდის აგებას ვაპირებ და მინდა ის გადაიქცეს „ლივერპულის“ ისტორიაში ყველაზე მეტი ჯილდოს მომგებ კაპიტნად“.

საგულისხმოა, რომ ბენიტესმა ეს სიტყვები ინგლისურ კი არა, ესპანურ გაზეთებს უთხრა, ესპანური გაზეთები კი თავის მხრივ ჯერარდის თემით დაინტერესებულნი არიან, რადგან მოგეხსენებათ, ინგლისელი ნახევარმცველის ერთ-ერთ სავარაუდო მომავალ გუნდად მადრიდის „რეალი“ ითვლება“.

და მაინც, ჯერარდის „რეალთან“ და „ჩელსისთან“ დაკავშირება არ ნელდება.

24.06.05 სტივი გახარებულია

„ლივერპულის“ მეტოქედ ჩემპიონთა ლიგის ახალი გათამაშების პირველ შესარჩევ ეტაპზე უელსური „ლანსანტფრიდს“ ასახელებენ, რაზეც ჯერარდის კომენტარი სრულიად ლივერპულურია — ის გახარებულია, რომ მეტოქედ აღმოსავლეთის ძნელად მისადგომი ქვეყნის გუნდი არ შეხვდათ და ამბობს, რომ უელსელებზე ზერელედ ფიქრმა შეიძლება საქმე გააფუჭოს. ერთი სიტყვით, არანირი ქარაგმა, რომ სადმე აპირებს წასვლას, არ იკითხება.

27.06.05 სამსახურში დაბრუნება

ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფიდან 33 დღის შემდეგ მთელი „ლივერპული“ და მათ რიცხვში სტივენ ჯერარდი საქმეს უბრუნდება. ერთი წლის წინანდელი გაუგებრობის — გადადის ჯერარდი „ჩელსიში“ თუ არა? — მწარე გამოცდილება ფეხბურთელს თავისი პოზიციის მალე გარკვევისკენ უბიძგებს.

29.06.05 მოლაპარაკებები იწყება

ამ ოთხშაბათ დღეს შვებულებიდან ბრუნდება ჯერარდის აგენტი სტრუან მარშალი, რომელიც პირდაპირ მოლაპარაკებებში ებმება. „ლივერპულის“ მხრიდან მოლაპარაკებებს ზემოხსენებული პერი აწარმოებს. პერი ოპტიმისტურადაა განწყობილი და ამბობს, რომ წინა წლის გაურკვევლობა აღარ გამეორდება.

01.07.05. რაღაც, რაღაც...

უკვე მოლაპარაკებების მესამე დღეა და აი, პირველი უსიამოვნო ნიშნებიც: ესპანური გაზეთი **AS** ამბობს, რომ ჯერარდმა ბენიტესს მადრიდელთა მაცდური წინადადებაზე ჩამოუგდო სიტყვა. იმავდროულად ამბობენ, რომ „რეალთან“ თავად ფეხბურთელს არ ულაპარაკია. თითქოს საუბარია ერთ წელიწადში 8 მილიონ გირვანქაზე.

14.07. 05 ძალიან ცუდი რამ ხდება

ეტყობა, „ლივერპულს“ და მის კაპიტანს შორის ძალიან ცუდი ამბავი ხდება. მოლაპარაკებები, როგორც ჩანს ჩიხშია, რადგან ზემოხსენებული აგენტი სტრუან მარშალი ამბობს, რომ თავიდან მაგიდას აღარც მიუჯდება. პერი თავის მხრივ ამბობს, რომ კლუბი ჯერარდს „ლივერპულისთვის“ სარეკორდო გასამრჯელოს, კვირაში 100 ათას გირვანქას (წლიურ 8 მილიონ გირვანქაზე დაახლოებით 300 ათასით ნაკლებია) სთავაზობდა და ასეთ წინადადებაზე უარი მართლაც გამაოგნებელია.

„მარშალის კომენტარებმა გამაკვირვა, რადგან ოთხშაბათს რომ ვილაპარაკეთ, ყველაფერი ნორმალურად იყო“ — განაცხადა პერიმ.

ამავე დღეს რაფა ბენიტესი აწყობს პრესკონფერენციას ბუდეკინის ზენდენის შეძენის გამო და ამ პრესკონფერენციაზე ამბობს, რომ მისი სურვილია, ჯერარდი სამუდამოდ „ლივერპულში“ დარჩეს და ერთ მშვენიერ დღეს გუნდის მწვრთნელიც კი გახდეს.

05.07.05. ჩელსი?

სამშაბათი იმით დაიწყო, რომ პერიმ განაცხადა, „ჩელსის“ 32 მილიონიან წინადადებაზე უარის კი ბობთ და ჩვენს კაპიტანს არ ვაძლევთო, მაგრამ ჭორები ამბობენ, რომ ჯერარდს „ლივერპულში“ თავისი ბოლო თამაში უკვე ნათამაშევი აქვს. ქვეყნდება კლუბის განცხადება, სადაც ნათქვამია: „სამწუხაროდ, ამ შუადღისას სტივენმა გაძღოლა, რომ ჩვენს წინადადებას არ თანხმდება და გუნდიდან მიდის“

თავად ჯერარდიც აქვეყნებს ოფიციალურ განცხადებას (ეტყობა, ის გადაწყვეტილება ძალიან ძნელი მისაღები იყო. გულწრფელად ამბობდა და აქ დარჩენა, მითუოდრო ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ, მაგრამ ბოლო ექვს კვირაში მოხდარი ამბების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა“

და გასაკვირი არ არის, რომ ამ განცხადებას მკისრად მოჰყვა „რეალის“ და „ჩელსის“ ხელახალი გაჭიანურება

06.07.05. გუშინ

„ლივერპულის“ აღმასრულებელი შეფი რიკ პერი, რომელიც უკვე რამდენჯერ ვახსენეთ, ყველას ეუბნებს — აცხადებს, რომ სტივენ ჯერარდი რჩება. ის ძალიან დაღლილი ჩანს და ამბობს, რომ ბოლო დროს ზარმა ყველაფერი სასიკეთოდ შეცვალა.

პერი: „რამდენიმე ხაფრიანი ფინალური მომენტი გვქონდა. მე სტევენ ვუთხარი, სტამბოლი და ფინალი გეხსენებინა, შეეგრძნო, რომ ამ გუნდის დატოვება არ შეიძლება. ეს დღეც, თუ მოლაპარაკებების მსვლელობისას რაიმე შემეშალა, ბოდიშს ვითხოვე“.

ამ ნათქვამიდან გასაგებია, რომ მოლაპარაკებები განახლდა და ჯერარდი დათანხმდება.

პაპუნა კედია

კრესპო ჩელსიში ბრუნდება

ერნან კრესპო

როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება ერნან კრესპოსა და „მილანის“ ურთიერთობა. თავად არგენტინელს „სან სიროზე“ დარჩენა ძალიან უნდოდა, მაგრამ იტალიური კლუბი „ჩელსის“ ვერაფრით ვერ მოელაპარაკა, ხოლო ვიერისთან კონტრაქტის გაფორმებით კრესპოს მიანიშნა, რომ მისი კლუბში დარჩენის შანსები ძალიან მიზერულია.

ამას უკვე თავად თავდამსხმელიც მიხვდა და „ჩელსიში“ დაბრუნებაზე უარს აღარ ამბობს. თანაც „ჩელსის“ თავკაცი ჟოზე მაურინიუ, რომელსაც ინტერელ ადრიანოსთან და იუვენტუსელ დავიდ ტრეზეგესთან არაფერი გამოუვიდა, არგენტინელს ჰპირდება, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრების შანსს მისცემს და იგი ლონდონელთა რიგებში საჭირო ფეხბურთელი იქნება.

„ერნანი ჩელსიში“ დაბრუნდება. ყველაფერი ალბათ უახლოეს დღეებში მოგვარდება. მას სურს და ეცდება, რომ ისეთივე წარმატებული სეზონი ჰქონდეს, როგორც „მილანში“ ჰქონდა — განაცხადა კრესპოს აგენტმა ფერნანდო იდალგომ.

მიუხედავად ამისა, „ჩელსი“ მაინც თავდასხმის გაძლიერებაზე აგრძელებს ფიქრს და მაიკლ ოუენის ან ფერნანდო ტორესის შეძენის იმედს არ კარგავს. პარალელურად მოლაპარაკებები მიმდინარეობს შონ-რაიტ ფილიპსთან და სტივენ ჯერარდთან.

გიორგი კაკაბაძე

სტეფანო ფიორენტინას გააძლიერებს

იქნება ფიორე მეექვსე?



სტეფანო ფიორეს
იტალიაში დაბრუნება სურს

„ლაციოს“ ყოფილი ვარსკვლავი სტეფანო ფიორე კვლავ ახალი კლუბის ძიებაშია და სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობს. მისი გაყიდვა „ვალენსიასაც“ სურს, მაგრამ ესპანელები ფინანსურ ზარალს ერიდებიან და სოლიდურ თანხას ითხოვენ.

ცოტა ხნის წინ ფიორეს „ინტერი“ უტრიალებდა და „სან სიროზე“ გადასვლა თავად ფეხბურთელსაც ძალიან უნდოდა, მაგრამ მილანელებმა ინიციატივა აღარ გამოიჩინეს. ახლა კი უკვე საკმაოდ გამოცდილი ნახევარმცველის ხელში ჩაგდება „ფიორენტინას“ სურს.

მას შემდეგ, რაც ფლორენციელებმა ენცო მარესკასა და კრისტიან ობოდოს შენარჩუნება ვერ შეძლეს, მათი შუახაზი საკმაოდ შესუსტდა. გუნდის თავკაცი ჩეზარე პრანდელი თვლის, რომ „იების“ ნახევარდაცვას ფიორეზე უკეთ ვერავინ გააძლიერებს.

იტალიური პრესის ცნობით, „ფიორენტინა“ მიზანთან ძალიან ახლოსაა და ყველაფერი მალე ოფიციალურად გაფორმდება. როგორც ამბობენ, „იები“ ფიორეს ერთი სეზონით ინათხოვრებენ, რაც მათ დაახლოებით 1,5 მილიონი ევრო დაუჯდებათ. მომავალ ზაფხულს კი სავარაუდოდ, ბოლომდე გამოისყიდიან მის კონტრაქტს.

შეგახსენებთ, რომ „არტემიო ფრანკის“ ბინადრებმა აქამდე უკვე ხუთი ახალი ფეხბურთელის — სებასტიან ფრეის, მარკო დონადელის, ალესანდრო გამბერინის, კრისტიან ბროკისა და ემანუელ პასკუალის დამატება მოასწრეს.

გიორგი კაკაბაძე

კრისტიან ვიერის „მილანში“ მოულოდნელ გადასვლაზე ალბათ კიდევ დიდხანს ილაპარაკებენ და ეს გასაკვირი არც არის. პირველი და მოკლე კომენტარი თავად ფეხბურთელმაც გააკეთა

კრისტიან ვიერიმ სურვილი აისრულაო, უთქვამს ჯანინტო ფაჯეტის

ბობო მოღალატე არ არის

ბერლუსკონის სუპერტრიო: შევჩენკო-ვიერი-ჯილარდინო

„მილანთან“ მიღწეული შეთანხმებით ძალიან გახარებული ვარ. ყველანაირად ვეცდები, დავამტკიცო, რომ მაღალ დონეზე თამაში კიდევ შემიძლია და ჩემი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ვიბრძოლებ“ — აღნიშნა 32 წლის ფორვარდმა.

შეგახსენებათ, რომ „ბობო“ ამჟამად სარდინიაზე, დასასვენებლად იმყოფება. იგი უკვე „როსონერის“ უფროსობასაც დაუკავშირდა და ყველაფრისთვის მადლობა გადაუხადა.

ახლა კი ყველა ალბერტო ჯილარდინოს „მილანში“ გადასვლას ელის. ბოლო ინფორმაციით, „შავწითლების“ მფლობელ სილვიო ბერლუსკონის უთქვამს, შემდეგ სეზონში ჩემი გუნდის შემტეევი ტრიო შევჩენკო-ვიერი-ჯილარდინო უნდა იყოსო და მიუცია კიდეც შესაბამისი დირექტივა ადრიანო გალიანისთვის, რომელმაც საქმე სანახევროდ უკვე მოაკვარახჭინა.

ამ ყველაფერზე „ინტერის“ ხელმძღვანელებმაც ისაუბრეს, რომლებიც ვიერის „მილანში“ გადასვლას არ იმჩნევენ და ყველანაირად ცდილობენ, თანაქალაქელ კლუბს ჯილარდინოსთვის ბრძოლაში ავჯობონ.

„კრისტიანმა გააკეთა ის, რაც სურდა და მე ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. ეს ღალატი არ არის. ქომაგებს კი ვეტყვი, რომ შევჩენკო-ვიერის დუეტის ნუ შეეშინდებათ. ჩვენი თავდასხმა არანაკლებ ძლიერია. ვიერის წასვლა არანაირად არ იმოქმედებს „ინტერის“ სატრანსფერო სტრატეგიაზე. ვთვლი, რომ უკვე საკმარისად ძლიერნი ვართ, რადგანაც ადრიანო და მარტინსი გვყავს“ — თქვა „ინტერის“ მფლობელმა მასიმო მორატიმ.

„იმ მომენტიდან, როდესაც ჩვენ ვიერისთან კონტრაქტი გავწყვიტეთ, მას ნებისმიერ კლუბში შეეძლო გადასვლა და ჩვენ არანაირი უფლება არ გვაქვს, უკმაყოფილონი ვიყოთ. კრისტიანს კიდევ აქვს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრს შანსი და ამ მიზნის მისაღწევად რომელიმე გრანდში გადასვლა სჭირდებოდა. ასე რომ, გულშემატკივრებს ვთხოვ, სიტუაციას გაგებით მოეკიდონ. ახლა ჩვენ „ინტერის“ წარმატებაზე უნდა ვიფიქრობთ და ამისთვის ყველაფერი გავაკეთოთ“ — ეს კი „ნერაზურის“ პრეზიდენტ ჯანინტო ფაჯეტის სიტყვებია.

გიორგი კაკაბაძე



ენდი ვან დერ მეიდე „მონაკოში“ გადასვლას უარობს

ენდისთვის ინტერი END-ია

ენდი ვან დერ მეიდეს „მონაკოში“ გადასვლა ერთი შეხედვით გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ეგებ ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალოს. ამის მიზეზი თავად ფეხბურთელია, რომელსაც საფრანგეთში გადაბარგება მაინცდამაინც არ ხიბლავს. არადა, „ლუი II“-ის ბინადრებს მისი დამატება ძალიან სურთ და იმედოვნებენ, რომ ჰოლანდიელს დაიყოლიებენ.

„ინტერთან“ ყველაფერზე მალე და უპრობლემოდ მოვილაპარაკეთ, მაგრამ თავად ფეხბურთელთან ურთიერთობა ძალიან გაგვიჭირდა. მასთან შეთანხმებას ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ, რადგანაც ვან დერ მეიდე ყველანაირად ცდილობს, მოლაპარაკება გააჯანჯოს. არადა, მხოლოდ რამდენიმე პატარა დეტალია მოსაგვარებელი“ — თქვა ფრანგული კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ჟერარ ბრიანტიმ. „აიაქსის“ ყოფილმა გარემარბმა კი განაცხადა, საბოლოო გადაწყვეტილებას არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ, 10 ივლისს მივიღებო.

ასეა თუ ისე, ახალგაზრდა ჰოლანდიელს „ინტერის“ დატოვება ალბათ მაინც მოუწევს, რადგანაც „შავ-ლურჯების“ ძირითად შემადგენლობაში იგი არც ისე ხშირად ხვდება და კლუბს თავისი ფინანსური ინტერესებიც აქვს.

გიორგი კაკაბაძე

ბაჭია კამპ ნოუზე ვერ იბალახებს

ხავიერ სავიოლას „ბარსელონაში“ დარჩენა კი სურს, მაგრამ „კამპ ნოუს“ დატოვება კვლავ მოუწევს. კატალონიური კლუბის ხელმძღვანელებს აზრი არ შეუცვლიათ და თვლიან, რომ გუნდში „ბაჭიას“ ადგილი არ არის.

„მან „ბარსელონაში“ ძალიან კარგი პერიოდი გაატარა და ამას არ დავივიწყებთ, მაგრამ ახლა გვყავს თავდამსხმელები, რომლებსაც სავიოლაზე მეტის შემოთავაზება შეუძლიათ. გასულ ზაფხულს ეტოო დავიმატეთ, რომელიც გუნდს ბრწყინვალედ მოერგო და ჩვენი ძირითადი ფორვარდია. მისი შემცვლელი ჰენრიკ ლარსონია და ვფიქრობ, მასზე ბევრი კომენტარი არ არის საჭირო. ასევე გვყავს მაქსი ლოპესი, იგი ძალიან პერსპექტიულია. შესაბამისად, ხავიერს თამაშის საშუალება არ მიეცემა, რაც მისი ასაკისა და ნიჭის მქონე ფეხბურთელისთვის დამღუპველი იქნება“ — თქვა „ბარსას“ სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა.



ხავიერ სავიოლა

2001 წელს „რივერ პლეიტიდან“ „ბარსელონაში“ გადასულმა სავიოლამ კატალონიელთა რიგებში ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში ითამაშა. ბოლოს იგი „მონაკოში“ იყო განათხოვრებული, მაგრამ „ბაჭიას“ არასტაბილურობით უკმაყოფილო ფრანგულმა კლუბმა მისი შენარჩუნება აღარ ისურვა.

ჩიკი ბეგირისტაინი: „სავიოლათი უამრავი კლუბია დაინტერესებული და ჩვენ ყველაზე მისაღებ ვარიანტს ვეძებთ. ცხადია, დიდი მნიშვნელობა ექნება, თავად ხავიერის სიტყვასაც. ჯერჯერობით კი ზუსტად ვერ გეტყვით, მას გავყიდით თუ ისევ გავანათხოვრებთ“.

გავრცელებული ინფორმაციით, ამჟამად სავიოლას ხელში ჩაგდების ყველაზე დიდი შანსი „ბარსელონას“ თანაქალაქელ „ესპანიოლს“ აქვს.

ჯონ ალოიზი „პანათინაიკოსმა“ დაიწუნა

გადავიდა და არ გადავიდა

ალოიზის მუხლები

ათი დღის წინ „პანათინაიკოსმა“ გამოაცხადა, ავსტრალიელი ჯონ ალოიზი შევიძინეთო, მაგრამ გუშინ გადათქვა.

„სამედიცინო შემოწმების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ კონტრაქტი არ გავაფორმოთ“ — აღნიშნა კლუბის პრესმდივანმა. ბერძნული მედიის ცნობით, ექიმებმა ფეხბურთელს ორივე მუხლი დაუწუნეს. საკვირველია, რადგან ალოიზის კონფედერაციათა თასზე ოთხი გოლი გაიტანა.

ათენური გუნდის წარმომადგენლები 23 ივნისს პამპლონაში ჩავიდნენ, „ოსასუნასთან“ ყველაფერი შეათანხმეს და მის მეზე განაცხადეს, ჯონ ალოიზი სამი წლით ჩვენი ფეხბურთელი გახდაო.

გახარებულმა ავსტრალიელმა კი „პანათინაიკოსი“ აქო და აღიღა, ჩემპიონთა ლიგაშიც ვითამაშებო.

ჯონ ალოიზის, რომელსაც 35 სანაკრებო მატჩში 21 გოლი გაუტანია, ავსტრალიური „ადელაიდაში“, ლიეჟის „სტანდარდში“, „კიკერ მონეზეში“, „პორტსმუთსა“ და „ქიენეენორიში“ უთამაშია, საიდანაც „ოსასუნაში“ აღმოჩნდა.

ვაჟა ხუციშვილი

ფაბიენ ბარტეზი დისკვალიფიკაციის მიუხედავად, მაინც გამალებით ვარჯიშობს

მიაფურთხე? იმუშავე!

მსაჯის მიფურთხებისთვის დასჯილი ფაბიენ ბარტეზი შესაძლოა, შემოდგომაზე დაუბრუნდეს „მარსელს“, რომელიც 15 ოქტომბერს თავისი ქომაგების **საძულველ** პსჟ-ს უმასპინძლებს.

ბარტეზს პირობითი დისკვალიფიკაცია 31 დეკემბერს უმთავრდება, მაგრამ საზოგადოებისთვის სასარგებლო ათდღიან სამუშაოზე თუ დაყაბულდება, სასჯელს შეუმსუბუქებენ და ოქტომბერში თამაშის უფლებას მისცემენ.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მეკარე ამჟამად გუნდთან ერთად შეკრებაზეა. „მარსელის“ ახალი მწვრთნელი ჟან ფერნანდესი კი მისი მონდომებით გაოცებულია: „დისკვალიფიკაციის მიუხედავად, სამაგალითოდ ვარჯიშობს და ნამდვილი ლიდერია“.

ფერნანდესს უხარია, მაგრამ სათადარიგო მეკარე ჟერემი გავანონს ეგებ გულზე არ ეხატება ფაბიენ ბარტეზის დაბრუნება, რადგან ადგილს დაკარგავს.

„რა თქმა უნდა, თამაში მსურს — დაიჩივლა გავანონმა — ბარტეზის შემცვლელად ყოფნაც არაა ცუდი, მაგრამ მგონია, რომ ის თუ ოქტომბერში „გამოუშვეს“, მთელი დარჩენილი სეზონის განმავლობაში სკამზე ჯდომისთვის გამწირავენ“.

ვაჟა ხუციშვილი

ბაპტისტა მეთოფეთა სამიზნეზე

ესპანური პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი ჟულიო ბაპტისტა „სევილიას“ დატოვებს. „სანჩეს პისხუანის“ ბინადრებმა თავიანთ ლიდერს კონტრაქტის გახანგრძლივება და უკეთესი პირობები შესთავაზეს, **მაგრამ ბრაზილიელმა** უარი **განაცხადა.**

„ჩემი აზრით, **ბაპტისტას** მისთვის მისაღები **პირობები შეეთავაზეთ**, მაგრამ მას **კონტრაქტის გახანგრძ**ლივება არ **სურს. ეს ჩვენთვის** ცოტა მოულოდნელია, **რადგანაც** ფეხბურთელს და მის აგენტებს გასული სეზონის მანძილზე არ უთქვამთ, რომ ჟულიო წასვლაზე ფიქრობდა. თუმცა სიტუაცია ყოველდღიურად იცვლება და ჯერ ნამდვილად ვერ გეტყვით, რა მოხდება“ — განაცხადა „სევილიას“ მმართველმა ხოსე მარია დელ ნიდომ.



ჟულიო ბაპტისტას გული პრემიერლიგისკენ მიუწევს

ბაპტისტას შეძენა ბევრ კლუბს სურს, მაგრამ ყველაზე მეტად ჯერჯერობით „არსენალი“ აქტიურობს. ლონდონელები მზად არიან, 10 მილიონი ევრო გადიხადონ, მაგრამ სევილიელ კლუბს ეს თანხა არ აკმაყოფილებს. ვფიქრობ ისიც, რომ „ჰიბერნიზე“ გადასვლა თავად ფეხბურთელსაც უნდა.

„არსენალი“ მართლაც სერიოზულად არის დაინტერესებული ბაპტისტათი და ლონდონელები უკვე დაგვიკაშირდნენ კიდეც. თუმც მსურველი კიღევ ძალიან ბევრია და ჯერჯერობით გარკვეული არაფერია“ — აღნიშნა დელ ნიდომ.

გიორგი ძაძაბაძე

ჟოზე პიერ-ფანფანი „გლაზგო რეინჯერსში“ ითამაშებს

ჩაფრები გაფანფანდნენ

გლაზგოს „რეინჯერსმა“ „მარსელიდან“ ბრაჰიმ ჰედანის შეძენის შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატის კიღევ ერთი გამორჩეული, ჟოზე პიერ-ფანფანი დაიმატა. პსჟ-ს უკვე ყოფილი კაპიტნის ხელში ჩაგდება ძალიან უნდოდა „ჩაფარია“ თავკაც ალექს მაკლიშს და საბოლოო ჯამში შოტლანდიურმა კლუბმა ივი ცხვირწინ აიცალა ესპანურ „მალორკას“.

29 წლის მცველმა უკვე სამედიცინო შემოწმებაც გაირა და „აიბროქსის“ ბინადრებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი „რეინჯერსში“ გადასვლა განსაკუთრებით გაუხარდა დადო პრსოს. შეგახსენებთ, რომ ხოვარტს პიერ-ფანფანთან ერთად „მონაკოში“ უბურთავია.

ალექს მაკლიში: „პიერ-ფანფანი ერთ-ერთი მათგანია, რომლის ჩემს გუნდში ხილვაც ძალიან მსურდა. უკვე რამდენიმე წელია, მას ვაკვირდები და მჯერა, იგი „რეინჯერსის“ დიდ სარგებლობას მოუტანს“.

კმაყოფილია თავად ფეხბურთელიც, რომელმაც გასული სეზონი არც ისე შთამბეჭდავად ჩაატარა და გუნდი სიამოვნებით გამოიცვალა.

ამასობაში კვლავ გაურკვეველია გლაზგოელთა ბერძენ მცველ სოტირის კირიაკოსის მომავალი. მისი შეძენა ინგლისურ „ბოლტონს“ სურს, მაგრამ შოტლანდიის ბოქმელ ჩემპიონებს ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, გაუშვან თუ არა გუნდიდან.

„კირიაკოსთან შეთანხმებისთვის ჯერ არ მიგვიღწევია. იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა, მაგრამ ახლა შეგვიძლია გაცილებით მშვიდად ვიყოთ, რადგანაც პიერ-ფანფანი დავიმატეთ“ — დასძინა მაკლიშმა.

გიორგი ძაძაბაძე

კანონი, რომელმაც თურქები აღაშფოთა
ან წილი, ანაც ბოიკოტი!

„ფენერბაჰჩეს“ ვიცე-თავმჯდომარე ნიჰათ ოზდემირი

თურქულ საფეხბურთო მეურნეობაში სატელევიზიო უფლებათა და შემოსავლთა გადანაწილების ახლაშემოთავაზებულმა წესმა „ფენერბაჰჩეს“ ერთ-ერთი დიდმოხელე აღაშფოთა. ფედერაციის შემოღებული წესი სამართლიანი არ არისო, განაცხადა მან. არადა, ივნისში, თოთხმეტმა საშუალო და მცირე თურქულმა კლუბმა პირველ დივიზიონს კინაღამ ბოიკოტი გამოუცხადა, მათ ძველი წესი არ აძლევდათ ხელს.

„შარშანდელთან შედარებით ჩვენი წილი მნიშვნელოვნად შემცირდება — განაცხადა „ფენერის“ ვიცე-თავმჯდომარემ ნიჰათ ოზდემირმა თურქული CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში — ამიტომ, ამ ახალი კანონის მიღება ჩვენთვის შეუძლებულია“.

და რა კანონია ასეთი? ახლა მოქმედი სისტემა ისაა, რომ სატელევიზიო შემოსავლების ნახევარი ზემოთ ჩამოთვლილი თოთხმეტი კლუბისაა, მეორე ნახევარი კი ოთხის: „გალათასარაის“, „ფენერბაჰჩესი“, „ბეშიქთაშისა“ და „ტრაბზონსფორის“. 2005-2006 წლების სეზონიდან ახალი კანონი კი ასეთი უნდა იყოს: 44 პროცენტი ტურში მოგროვილი ქულების მიხედვით განაწილდება, შვიდი ცხრილში ზედა ექვს ადგილზე მყოფ გუნდებს გაუნაწილდებათ, 35 უკლებლივ ყველასთვის დაიყოფა, თოთხმეტი კი ზემოჩამოთვლილ ბობოლებს ეფეშქაშებათ.

ბაბუნა კედია

კოლინა და გოლების სხვაობა

იტალიის... უფრო სწორად კი მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილმა მსაჯმა, პიერლუიჯი კოლინამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისგან მოედანზე კიდევ ერთი წლით დარჩენის უფლება მიიღო.

მოგეხსენებათ, აქამდე მოქმედი კანონის თანახმად, იტალიაში არბიტრს 45 წლამდე ჰქონდა მუშაობის უფლება და ამის გამო სერია B-ს აუტსაიდერთა მატჩ-პლეი ოფი „ტრიესტინასა“ და „ვიჩენცას“ შორის მის კარიერაში ბოლო უნდა ყოფილიყო, მაგრამ იტალიელ მსაჯთა ასოციაციამ ფედერაციას თხოვნით მიმართა და კანონი შეაცვლევინა.

და კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც თუ გნებავთ, ექსპერიმენტი უწოდეთ: მომავალი სეზონიდან იტალიისთვის გასაოცარი რამ მოხდება — გუნდებს, რომელთაც ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს და პირველი-მეორე, მეორე-მესამე ან ნებისმიერი სხვა საკვანძო ადგილისთვის ედავებიან ერთმანეთს, გადათამაშების შედეგი კი არა, გატანილ და გაშვებულ გოლთა ბალანსი მიუჩენს საბოლოო ადგილებს.



პიერლუიჯი კოლინა კიდევ დაუსტვენს

ბაბუნა კედია

მარკეჯანი ჰაერში
ლუკა რომას ელოდება, რომა ვერდიქტს

ლუკა მარკეჯანი დედაქალაქში დაბრუნებას აპირებს

იტალიურ „რომას“ მალე ახალი მეკარე ეყოლება — 35 წლის ლუკა მარკეჯანი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომაელებს ფიფა სანქციას მოუხსნის. შეგახსენებთ, ფეხბურთის ამ საერთაშორისო ორგანიზაციის სადისციპლინო კომიტეტმა „რომას“ ემბარგო მას მერე დაადო, რაც ამ უკანასკნელმა ფრანგული „ოსერისთვის“ ფილიპ მექსეშის ტრანსფერში ფულის, 5 მილიონი ევროს გადახდა იუარა.

ყველაფერი შეთანხმებულია, თავად მარკეჯანისთანაც და მის აგენტთანაც, ანუ კონტრაქტი მზადაა. მხოლოდ ფიფას ვერდიქტია დარჩენილი, მაგრამ იტალიაში გავრცელებული ბოლო ცნობის თანახმად, „რომას“ აპელაციას ფიფა არ მიიღებს.

ლუკა მარკეჯანიმ გასული სეზონი „კიევოში“ გაატარა. თავის დროზე იტალიის ნაკრების გოლკიპერს „რომას“ მოსისხლე „ლაციოშიც“ უთამაშია სვენ-გორან ერიკსონის მწვრთნელობისას, სადაც სუდეტო მოიგო.

გიორგი ვაზაკიძე

ევროპის საკლუბო ჩემპიონ „ლივერპულს“ 2005-06 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქედ უელსური „ლანსანტფრეიდი“ ერგო. თუ რატომ იწყებს კონტინენტის უპრესტიჟულესი თასის მფლობელი ტურნირს ქვემოდან, ვინძლო, შეხსენება არც სჭირდებოდეს, მაგრამ მაინც განვმარტოთ — „ლივერპულმა“ პრემიერლიგაში ოდენ მეხუთე ადგილი დაიკავა და ლიგის საგზური ვერ მოიპოვა, ჩემპიონთა თასის მოგება კი ლიგაში ავტომატურად მოხვედრას არ ითვალისწინებდა. ერთი სიტყვით, უეფას წეს-კანონით, მერსისაიდელებს უეფას თასზე უნდა ეთამაშათ, მაგრამ იმავ უეფას გადაწყვეტილებით, „ლივერპულს“ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის ნება დართეს, ოლონდ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან.

რაფა ბენიტესის ბიჭებს ამ ბარიერის გადალახვა რომ არ გაუჭირდებათ, ცხადია. „ლანსანტფრეიდი“ უელსშიც კი ვერ დაიკვეხნის დიდი წარმატებით, ქვეყნის ჩემპიონი სულ ორჯერ გამხდარა, მეორედ გასულ სეზონში იპირველა და... ნიონში გამართულმა კენჭისყრამ „ლივერპული“ გამოუწერა

უელსელები ენფილდზე
ვინ არის თომას რუნი?



მარტინ ნაილორი „ლანსანტფრეიდის“ დაცვის ბურჯია

„ასეთი რამ მხოლოდ ზღაპარში შეიძლება მოხდეს, უელსის სოფლის გუნდი ევროპის ჩემპიონს ეთამაშება“ — ამბობს „ლანსანტფრეიდის“ მწვრთნელი კენ მაკკენა, რომელმაც არც ის დამალა, რომ „ლივერპულის“ მოსისხლე მეტოქის, „ევერტონის“ თავგადაკლული გულშემატკივარია. „ვიცი, ამ ზღაპარს კეთილი დასასრული არ ექნება — განაგრძობს მაკკენა — „ლივერპულს“ ვერ მოვერევით, მაგრამ ღირსეულად კი ვეთამაშებით“.

უელსელთა თავკაცს წილისყრის დასრულებისთანავე შეუკრიბავს გუნდი და ორი ამხანაგური მატჩის გამართვაც მოუსწრია, პირველში „ლანსანტფრეიდი“ „შელბურნთან“ დამარცხებულა, მეორეში კი მაკკენას ბიჭებს ირლანდიის თასის მფლობელი „პორტდაუნი“ დაუმარცხებიათ. ამ მატჩში გამარჯვების გოლი გუნდის ლიდერ ჯონ ლოულესს გაუტანია, რომელიც მწვრთნელისგან განსხვავებით თურმე, „ლივერპულის“ ფანი ყოფილა.

უელსელთა მეორე ლიდერი, 23 წლის მეკარე ჯერარდ დოჰერტი კი „ენფილდზე“ სტუმრობის წინ ემოციებს ვერ მალავს და ჰალალად ამბობს: „დარწმუნებული ვარ, როცა „ენფილდზე“ გავალთ, ბევრ ჩემს თანაგუნდელს მუხლები აუკანკალდება. არც არის გასაკვირი, ჩვენს წინააღმდეგ ხომ ევროპის საუკეთესო გუნდი, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო სტადიონზე ითამაშებს. დაახლოებით, ისეთი გრძნობა დაგვეუფლება, როგორსაც ალბათ ფრონტის წინა ხაზზე გასული ჯარისკაცი განიცდის. მე კი ვეცდები თავი გამოვიჩინო, თუნდაც ლივერპულელებმა რამდენიმე გოლი გამიტანონ“.

„ლივერპული“ კარში გოლის ვატანას კი მარკ ლოიდ-უილიამსი ეცდება. „ლანსანტფრეიდის“ ამ 32 წლის ფორვარდს რომ ეს საქმე ეხერხება, ამას სტატისტიკური დავთრებიც დაგვიდასტურებენ. მარკმა წინა სეზონში 34 მატჩში 34 გოლი გაიტანა, ხოლო 2001-02 წლების სეზონში მეტოქეთა კარი სულაც 47-ჯერ ააოხრა.

ჯონ მაკკენას თურმე ძალიან ეიმედება თომას რუნისა. ნაცნობი გვარია არა? ჰოდა, ეს 20 წლის ჯელელი ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავის, უეინ რუნის ალალი ბიძაშვილი ყოფილა. შენზე ნაკლები რითი ვარ, მეც „ენფილდზე“ გავაგორებ ბურთსო, შეუთვლია თომასს უეინისთვის და მატჩზე დაუპატიჟებია.

რა ლაპარაკი უნდა, დიდი ჯაფა მაინც უელსელ მცველებს რომ დაადგებათ, მაგრამ მარტინ ნაილორი და ტომი ჰოლმსი იხტიბარს არ იტეხენ და განსაკუთრებით ფერნანდო მორიენტესს ემუქრებიან, აქაოდა, ფეხს არ გავანძრევინებთო.

და რა ისმის ამ დროს „ლივერპულის“ ბანაკიდან? სტი

მე ყველას ვაჩვენე

წინა ხუთშაბათს დავიწყეთ და დღეს კიდევ გთავაზობთ ნაწყვეტებს შტეფან ეფენბერგის წიგნიდან — „მე ყველას ვაჩვენე".



ქორწილი და ბუნდესვერი

1989 წელს მარტინა გავიცანი. ერთმანეთს პირველად დისკოთეკაზე შევხვდით. მოგვიანებით კი მან შინ, სადილზე დამპატიჟა. მივედი, ზარი დავრეკე, მაგრამ კარი არავინ გამიღო. ვიფიქრე, ეს რა მასხრობაა-მეთქი. მერე კი გაირკვა, რომ მარტინამ სამსახურში კოლეგა შეცვალა, რომელიც მოულოდნელად გახდა ავად და შინ ამიტომ არ დამიხვდა. მეორე დღეს ვნახე და იმწუთას მივხვდი — მარტინა ჩემი ქალია. 1989 წლის 29 დეკემბერს ხელი მოვაწერეთ. ახლა ვიხსენებ და ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი.

1988 წლის პირველი აპრილიდან 1989-ის 30 ივნისამდე ესენ-კუპფერდრეში სამხედრო სამსახური უნდა გამევლო. სადამოს ექვსს საათზე ნაწილში გამოვცხადდი და მაშინვე სკანდალი ატყდა. სამი წუთიც კი არ იყო გასული, ფელდფებელი ყვირილით გამოვარდა: „ვისია ის თეთრი ოპელ კადეტი?" „ჩემია" — ვუპასუხე მე. „თქვენ ხომ არ გადაირიეთ? ეს სამხედრო ნაწილია და არა ავტომობილების გასაჩერებელი ადგილი!" — მიღრიალა ფელდფებელმა. მაშინვე მივხვდი — აქ არაფერი მესაქმება.

მომხდარის შესახებ მწვრთნელს ვუთხარი: „არ შემიძლია ყოველდღე დილის ხუთ საათზე გაღვიძება და 95 ჯარისკაცთან ერთად ძილი. ბუნდესვერში ერთწლიან ტანჯვას ხუთწლიანი ალტერნატიული სამსახური მირჩევნია." კვირაში ცხრა ბუნდესლიგური მატჩის თამაში სჯობდა, ერთი ღამე ყაზარმაში ყოფნას. ზოგიერთ უმცროსს ოფიცერს ჩემი წვალება სიამოვნებდა კიდეც. ერთხელ ტყეში გაგვიყვანეს და მიწაზე გახოხიალეს. ძალიან სულელური ვარჯიშია. ცხრა მეტრი „გავცურე" და გაჩერდი. „ეი, ეფენბერგ, გაჩერება არავის უბრძანებია! — მიღრიალა ოფიცერმა — დაბრუნდი უკან და ახლიდან დაიწყე".

ასეთი ხალხი, ჯარისკაცებს სასაცილოდ რომ იგდებენ, ჯარში ბევრი შემხვედრია. ერთ დღესაც ყელში ამომივიდა დამცირება და ნაწილი თვითნებურად მივატოვე. ჩავჯექი ავტომობილში და გავიქეცი. სამი კაცი ცდილობდა ჩემს შეჩერებას, მაგრამ იმწამს მხოლოდ იმას ვფიქრობდი, „ჯოჯოხეთისთვის" თავი დამეღწია.

მწვრთნელმა ვოლფ ვერნერმა დამარწმუნა, რომ სამხედრო სამსახური უნდა დამესრულებინა. თვითნებურად ნაწილის დატოვებისთვის დამსაჯეს და უქმეებს სამრეცხაოში ვატარებდი. ბოლომდე როგორღაც გავძელი და 1989-ის ივნისში გამათავისუფლეს. რამდენიმე წლის შემდეგ ბუნდესვერიდან უწყება მომივიდა, კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიწვევდნენ, უწყება დავანაკუწე და სანაგვეში ჩავყარე.

იუდა

1990 წლის დასაწყისში მიუნხენის „ბაიერნიდან" ული ჰოენესი დამიკავშირდა. „შტეფან, ჩვენ შენთან კონტრაქტის გაფორმება გვსურს — მითხრა ბუნდესლიგის საუკეთესო მენეჯერმა — ის კაცი ხარ, რომელიც „ბაიერნს" სჭირდება".

მე მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" კონტრაქტი მაკავშირებდა, რაც ული ჰოენესმა კარგად იცოდა, ამიტომ მირჩია „ბორუსიას" მენეჯერ ჰელმუტ გრასჰოფთან ყოველ მეორე დღეს მივსულიყავი და მეწუწუნა, რომ ჩემი მდგომარეობით უკმაყოფილო ვარ და სხვა კლუბში გადასვლა მსურს. როცა მეათედ მივაკითხე გრასჰოფს, მიყვირა: „შენ უკვე ნერვებს მიშლი!"

„ბორუსია" საბოლოოდ გატყდა და ჩემს სანაცვლოდ „ბაიერნს" 4 მილიონ 500 ათასი მარკა გამოართვა. სიხარულისგან გადავირიე, მე ხომ ბავშვობიდანვე მიუნხენის „ბაიერნის" ქომაგი ვიყავი, თუმცა „ბორუსიას" გულშემატკივრებმა მოღალატედ გამომაცხადეს. ხშირად ვხედავდი პლაკატებს წარწერით — „იუდა", მაგრამ ერთი რამ ვიცოდი, ჩემი გზით უნდა მევლო. „ბაიერნთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ყოველთვიურად 10 ათასი მარკა მერგებოდა და მოგებული თამაშის შემდეგ პრემიაც მეკუთვნოდა.

ჩემი „მეგობარი" კლაუსი

მიუნხენის „ბაიერნში" 1990 წლის რვა ივნისს მივედი. იმ სადამოს გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში არგენტინას ხვდებოდა. მე და მარტინას ფინალი არც გვინახავს, მატჩის დროს სასტუმრო „შერატონში" ვიყავით და გარეთ რომ გავედით, მიუნხენი სიხარულისგან დუღდა.

— გერმანია მსოფლიოს ჩემპიონია! იმ ნაკრების შემადგენლობის ნახევარი „ბაიერნში" თამაშობდა, მაგრამ მათთან კონკურენციის ოდნავადაც არ მეშინოდა. პირველივე ვარჯიშზე მწვრთნელს ჩემი გარჯა მოეწონა და ქება დავიმსახურე, იმ დროისთვის ორი მიზანი მქონდა — გავმხდარიყავი „ბაიერნის" ძირითადი ფეხბურთელი და ბუნდესნაკრებში მეთამაშა.

სეზონი ჩვენთვის ცუდად დაიწყო: გერმანიის თასზე მოყვარულ „ვაინჰაიმთან" 0:1 დავმარცხდით. მწვრთნელ ჰაინკესისა და მენეჯერ ჰოენესის იმედი არ გამართლდა. გუნდი გადამწვარი იყო, რადგან „ბაიერნის" ფეხბურთელთა უმეტესობა (როიტერი, კოლერი, ტონი, პფლუგლერი, აუგენტალერი) მსოფლიოს ჩემპიონატმა დაღალა.

კლაუს აუგენტალერს „ბაიერნში" დიდად აფასებდნენ, მას ხომ თვით ბრაიტნერთან, მიულერთან და მაიერთან ერთად უთამაშია. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გუნდში აქა-იქ უკვე ლაპარაკობდნენ, რომ ლიბეროს პოზიციაზე აუგენტალერი უკვე ვეღარ ქაჩავს. შტეფან როიტერი მას აშკარად სჯობნიდა, მაგრამ როიტერი, რომელიც გუნდში აუგენტალერზე ორი წლით გვიან მოვიდა, შრომობდა და თავის შანსს ელოდა.

ერთ სადამოს მწვრთნელის გარეშე შევიკრიბეთ სახლის სარდაფში, სადაც ყველას ის უნდა ეთქვა, რასაც ფიქრობდა. მაშინ უკვე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი ვიყავი და სიტყვა მეც მეკუთვნოდა. როცა კლაუსმა მკითხა, რას ფიქრობო, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მე კი მივახალე: „როიტერი შენზე უკეთესია". აუგენტალერი გადაირია, ასეთი სახელის პატრონს, 33 წლის კაცს, 22 წლის ლაწირაკმა თავხედურად უპასუხა. რა მექნა? მას აინტერესებდა და კიდეც გაიგო. ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ.

ამ სერობის შემდეგ ცხადი იყო, რომ მე და აუგენტალერი ვეღარ ვიმეგობრებდით, მაგრამ ყოველთვის პატივს ვცემდი. კლაუსის გარდა სხვა მტრებიც გავიჩინე: პფლუგლერი, აუმანი, ტონი, დორფნერი, შვაბლი. რა უნდა ამ უკანალს? — ეკითხებოდნენ ხოლმე ერთმანეთს ჩემზე და ვარჯიშებზეც ამრეზით მიყურებდნენ. კლაუს აუგენტალერმა სეზონის ბოლოს ჭორი დამიყარა, თითქოს იუპ ჰაინკესს დავემუქრე, სიფათს დაგინაყავ-მეთქი. მწვრთნელთან იდეალური ურთიერთობა არასდროს მქონდა, მაგრამ მსგავსი რამ არასოდეს მითქვამს. გაზეთებმა უმალ აიტაცეს ეს ამბავი. შტეფან ეფენბერგის ცუდ ბიჭად გამოყენება ხომ მათი საყვარელი საქმე იყო და არის კიდევაც.

ული ჰოენესმა შტეფან ეფენბერგს ოცნება აუსრულა — მიუნხენის „ბაიერნში" პირველად სწორედ მან მიიწვია

მედია და ქო[illegible]ები

ჟურნალისტებთან ურთიერთობაში თავიდანვე [illegible] ვლაქლაქებდი ყველაფერს და არც მიფიქრია, რომ მეორე დღეს ჩემი ინტერვიუ წამეკითხა, რომელშიც ათასგვარი მონაჩმახი იყო. მაგალითად, „კიკერმა" პირველ გვერდზე გამოიტანა ეფენბერგის ნათქვამი: „ბაიერნის" გარდა ჩემპიონი ვერავინ გახდება, რადგან დანარჩენები ბრიყვები არიან". ეგებ წამოვაყრანტალე კიდეც, მაგრამ სულ სხვა კონტექსტში. მედიასაც ჩემი რა უნდოდა, სულ მალე ჩემი იმიჯი ისე წახდა, რომ ერთხელ ნიურნბერგში, უელსთან ამხანაგური მატჩისწინა მოთელვაზე, გულშემატკივრებმა მისტვინეს. რაშია საქმე? — გავვოცდი, ეს შეუძლებელია! მე აქ ოფლს ვღვრი და გერმანიისთვის ვთამაშობ, ქომაგებმა კი სტვენით ამიკლეს. „ბაიერნი" ხოლ ქალაქში აშკარად სძულდათ, მაგრამ ამ შემთხვევაში პირადად მე შეურაცხმყოფენ. შტეფან ეფენბერგი ბუნდესლიგის ყველაზე საძულველი ფეხბურთელია! ძალიან მძიმე პერიოდი გავიარე. ფსიქოლოგიური სირთულეების დაძლევაში ცოლ-შვილი მეხმარებოდა.

1990-1991 წლების სეზონში, ჩემპიონთა თასზე „ცრვენა ზვეზდასთან" დავმარცხდით, ბუნდესლიგაში კი პირველობა „კაიზერსლაუტერნს" დავუთმეთ. გუნდში პრობლემები მრავლდა და „ბაიერნიდან" წასვლაზე დავფიქრდი. მაშინ ბრაიან ლაუდრუპთან ვმეგობრობდი და ორივე ვგრძნობდით, რომ დანარჩენებისგან მოწყვეტილნი ვიყავით. ფეხბურთელები მარცხს ერთმანეთს აბრალებდნენ. მიდიოდი, მაგრამ ული ჰოენესმა არ გამიშვა. მოგვიანებით, იუპ ჰაინკესისგან შევიტყვე, რომ მადრიდის „რეალს" ჩემი გადაბირება სურდა და 10 მილიონ მარკას იხდიდა.

შვებულებისას კიდევ მქონდა გუნდიდან წასვლის შანსი, მაგრამ ახალ სეზონს ისევ „ბაიერნში" შევხვდი. ის მოხდა, რასაც ვვარაუდობდი — ერთ მატჩს ვიგებდით, მომდევნო ორს ვაგებდით და შედეგად, 1991 წლის შემოდგომაზე იუპ ჰაინკესი გაათავისუფლეს.

ეს ამბავი ძალიან მეწყინა, რადგან დიდ ფეხბურთელად ჰაინკესმა მაქცია და რამდენიმე თვის შემდეგ ული ჰოენესმა მითხრა: შევცდით, ის კაცი რომ გავუშვით.

ჰოენესის ერთადერთი შეცდომა

„ბაიერნის" ახალი მწვრთნელი სორენ ლერბიუ გახდა. კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მწვრთნელად არ ვარგოდა. მას არანაირი გეგმა არ გააჩნდა და ვერ გაიგო, თუ როგორ უნდა შეეკრა დაბზარული გუნდი. მე ძირითადი შემადგენლობიდან ამომაგდეს, რადგან პფლუგლერმა და ჩემმა მტრებმა ლერბიუს რაღაც „ჩააწვეთეს", უეფენბერგო „ბაიერნმა" „ჰანზასთან" წააგო. ამ მარცხის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი სორენ ლერბიუსთან მივიდა და მოსთხოვა, შემადგენლობაში დავებრუნებინე. მომდევნო მატჩში დიუსელდორფის „ფორტუნასთან" ვითამაშე და „ბაიერნმა" 3:1 მოიგო. უდიდესი სიამოვნება ვიგრძენი! მე ყველას ვაჩვენე!

ვაჟა ხუციშვილი

(გაგრძელება შემდეგ ხუთშაბათს)

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ავსტრია
I დივიზიონი

8 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	1	ლინცერი-კაფენბერგი	2.30	3.20	2.60	1.33	1.22	1.43
21:00	2	ლეობენი-აუსტრია(ლ)	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
21:00	3	შვანენშტადტი-კერნტენი	3.10	3.00	2.00	1.52	1.21	1.20
21:00	4	აუსტრია(მ)-გრატკორნი	1.75	3.20	4.00	1.13	1.21	1.77
21:00	5	ალტახი-კუფშტაინი	1.80	3.20	3.75	1.15	1.21	1.72

რუსეთი
9 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:00	6	სპარტაკი-ლოკომოტივი	2.70	2.90	2.50	1.39	1.29	1.34
15:00	7	როსტოვი-ზენიტი	3.30	3.00	2.10	1.57	1.28	1.23
15:00	8	ამკარი-ტორპედო	2.45	2.90	2.70	1.32	1.28	1.39
15:00	9	ალანია-ცსკა	4.80	4.00	1.50	2.18	1.14	1.09
15:00	10	მოსკოვი-სატურნი	1.75	3.10	4.50	1.11	1.25	1.83
15:00	11	რუბინი-შინიკი	1.75	3.20	4.00	1.13	1.21	1.77
15:00	12	ტერეკი-ტომსკი	1.85	3.00	4.20	1.14	1.28	1.75

10 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:00	13	დინამო-კრილია	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09

ნორვეგია. I დივიზიონი
10 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	15	ჰიოდი-ფოლდი	1.80	3.70	3.60	1.21	1.20	1.82
20:00	16	მანდალი-სოგნდალი	2.15	3.70	2.60	1.35	1.17	1.52
20:00	17	ჰორს გრენლანდი-სტაბეკი	3.10	3.70	1.90	1.68	1.17	1.25
20:00	18	ლოვ ჰამი-ალტა	2.30	4.00	2.40	1.46	1.17	1.50
20:00	19	ბრინი-ჰიონეფოსი	1.65	4.00	3.90	1.16	1.15	1.97
20:00	20	კონგსვინგერი-ტონსბერგი	2.00	3.70	3.00	1.29	1.20	1.65
20:00	21	სანდეფიორდი-მოსი	1.75	3.70	3.80	1.18	1.19	1.87
20:00	22	სკეიდი-სტრიომსგოდსეტი	3.00	3.70	1.95	1.65	1.18	1.27

შვედეთი.
ალსვენსკა

11 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	27	სუნდსვალი-იურგორდენი	3.70	3.30	1.80	1.74	1.21	1.16

ფინეთი
7 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	39	ჰაკა-ალიანსი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84

9 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	40	მიუპა-კტპ	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54

ისლანდია
7 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	45	რეიკიავიკი-გრანესი	1.90	3.10	3.60	1.17	1.24	1.66

10 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:15	46	ვესტმანაეიარი-ფრამი	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
23:15	47	ჰაფნარფიორდური-კეფლავიკი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21

ირლანდია
8 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	50	დერი-ჰერპსი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
22:45	51	ბრეი-ლონგფორდი	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
22:45	52	შემროკი-დროგედა	2.90	3.00	2.25	1.47	1.26	1.28
22:45	53	სტ.პატრიკსი-შელბურნი	3.00	3.10	2.15	1.52	1.25	1.26
22:45	54	კორკი-ბოჰემიანი	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1.59

9 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	49	უოტერფორდი-დუბლინი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57

აშშ
9 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	76	ვაშინგტონი-კანზასი	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
23:45	77	ნიუ იორკი-ლოს ანჯელესი	2.15	3.00	3.20	1.25	1.28	1.54
23:45	78	კოლამბუსი-სან ხოსე	2.40	3.00	2.70	1.33	1.27	1.42

CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	79	ჩიკაგო-ნიუ ინგლენდი	2.20	3.00	3.00	1.26	1.26	1.50
23:45	80	ჩივასი-სოლტ ლეიკი	2.25	3.00	2.90	1.28	1.26	1.47

უკრაინა. სუპერ თასი (ოდესა)

9 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:45	138	დინამო-შახტარი	2.65	2.90	2.55	1.38	1.29	1.35

სლოვაკეთი. სუპერ თასი (ნეიტ)

8 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	139	პეტრჟალკა-ბ.ბისტრიცა	2.05	3.00	3.20	1.21	1.24	1.54

შვედეთი. თასი

7 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	104	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	2.30	3.20	2.60	1.33	1.22	1.43

ოქროს თასი (აშშ)

7 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	127	კანადა-კოსტა რიკა	3.90	3.30	1.75	1.78	1.20	1.14
23:45	128	აშშ-კუბა	1.15	6.00	12.00	1.00	1.04	4.00

8 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	129	სამხრეთ აფრიკა-მექსიკა	5.20	3.40	1.55	2.05	1.19	1.06
23:45	130	გვატემალა-იამაიკა	3.10	3.20	2.00	1.57	1.21	1.23

ჩოგბურთი. კაცები. ბაშტადი. თიხნარი.

7 ივლისი

			1	2
12:30	233	სოდერლინგი-ერნანდესი	1.50	2.40
12:30	234	ნადალი-მარტინი	1.04	8.00
12:30	235	ფერერო-გარსია ლოპესი	1.20	3.80
12:30	236	სერა-ვანეკი	1.50	2.35

ჩოგბურთი. კაცები

გშტაადი. თიხნარი.

7 ივლისი

			1	2
13:00	241	მასუ-პერნიხი	1.40	[illegible]
13:00	242	ვერდასკო-ვავრინკა	1.60	[illegible]
13:00	243	პორნა-დი მაურო	1.50	[illegible]
13:00	244	შტეპანეკი-ჩერმაკი	1.10	5.50

ფრენბურთი.კაცები. მსოფლიო ლიგა. (სერბეთი)

8 ივლისი

			1	2
19:00	140	კუბა-პოლონეთი	1.80	1.80
22:00	141	სერბეთი-ბრაზილია	2.30	1.50

ფრენბურთი.კაცები. ევროლიგა.

8 ივლისი

			1	2
20:00	142	ფინეთი-გერმანია	1.80	[illegible]

9 ივლისი

			1	2
18:00	143	რუსეთი-ესტონეთი	1.05	[illegible]

კრივი

8 ივლისი

			1	X	2
23:00	152	ჯ.მური-მ.ჯონსი	1.25	20.00	[illegible]

ფორმულა 1. დიდი ბრიტანეთი. 9 ივლისი

12:00	1001	გამარჯვებული	რ.შუმახერი	35.00
12:00	1001	გამარჯვებული	მონტეირო	200.00
12:00	1001	გამარჯვებული	მონტოია	9.00
12:00	1001	გამარჯვებული	ფიზიკელა	13.00
12:00	1001	გამარჯვებული	ბატონი	19.00
12:00	1001	გამარჯვებული	ტრული	23.00
12:00	1001	გამარჯვებული	ბარიკელო	25.00
12:00	1001	გამარჯვებული	ფრიზახერი	250.00
12:00	1001	გამარჯვებული	ვილნევი	150.00
12:00	1001	გამარჯვებული	მ.შუმახერი	5.00
12:00	1001	გამარჯვებული	ალონსო	4.00
12:00	1001	გამარჯვებული	კარტიკეიანი	200.00
12:00	1001	გამარჯვებული	ალბერსი	250.00
12:00	1001	გამარჯვებული	ვებერი	35.00
12:00	1001	გამარჯვებული	რაიკონენი	1.90
12:00	1001	გამარჯვებული	მასა	70.00
12:00	1001	გამარჯვებული	კლიენი	160.00
12:00	1001	გამარჯვებული	კულტჰარდი	100.00
12:00	1001	გამარჯვებული	სატო	40.00
12:00	1001	გამარჯვებული	ჰაიდფელდი	40.00

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12127	კანადა-კოსტა რიკა	1.70	1.90
12128	აშშ-კუბა	2.00	1.50

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15127	კანადა-კოსტა რიკა	3.00	2.80	2.00
15128	აშშ-კუბა	3.00	2.80	2.00

ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

		ლუწი	კენტი
17127	კანადა-კოსტა რიკა	1.85	1.95
17128	აშშ-კუბა	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14127	კანადა-კოსტა რიკა	2.30	1.45
14128	აშშ-კუბა	1.04	2.90

ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

16127	კანადა-კოსტა რიკა	2.10	1.35

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13127	კანადა-კოსტა რიკა	1.70	1.90
13128	აშშ-კუბა	1.90	1.70

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10127	კანადა-კოსტა რიკა	4.20	2.00	2.10	1.35	1.39	1.02

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11127	კანადა-კოსტა რიკა	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.70



ვლადიმერ ადეიშვილი



მსოფლიოს 2003 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული რამაზ ნოზაძე

მიზანში მაინც უმაღლესი შედეგია

ბერძულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ვილნიუსში გაფრინდა. 8-9 იკლისს ლიტვის მთავარქალაქი მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს და ვლადიმერ ადეიშვილის სამწყსო ტრადიციულად გუნდურ ჩათვლაში ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი იქნება. ნაკრების სამსოფლიოსჩემპიონატო სამზადისსა და შანსებზე გუშინ თავად მთავარი მწვრთნელი გვესაუბრა:

— წინა ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც 2003 წელს თურქეთში ჩატარდა, შემადგენლობა თითქმის მთლიანად გადახალისდა. ასაკის გამო ვეღარც მაშინდელი მსოფლიოს ჩემპიონი რამაზ ნოზაძე დაგვეხმარება, თუმც მაინც უმაღლესი შედეგებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. თურქეთში სულ ოთხი მედალი მოვიპოვეთ და გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავედით. შარშან, ევროპის ჩემპიონატზე გუნდურში ვიჩემპიონეთ და ვეცდებით, ლიტვაშიც გუნდურ ოქრომდე მივიდეთ.

ბიჭების ფორმით კმაყოფილი ვარ. ტრავმაც არავის აწუხებს. ერთი ეგაა, წონის პრობლემა აქვს რამდენიმეს მოსაგვარებელი. მსოფლიოსთვის მოსამზადებელი შეკრება დიღომში გავიარეთ. ნაკრების 35-მა კანდიდატმა იქ ორი კვირის განმავლობაში ივარჯიშა და საბოლოო შემადგენლობაც მხოლოდ რამდენიმე დღის წინ დაზუსტდა. ყველაზე სახელიანი მათგან ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ომარ ბაკურიძეა (66კგ). ოთარ ფეფაძე (74კგ) ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორია. ახალგაზრდული ნაკრების დებიუტანტი ვლადიმერ გეგეშიძე (84კგ) კი ევროპის ჩემპიონია კადეტთა შორის.

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველოს ნაკრები ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

	50კგ
50 კგ	ლაშა გოგიტიძე
55 კგ	რევაზ ლაში
60 კგ	ზურაბ ზავრაშვილი
66 კგ	ომარ ბაკურიძე
74 კგ	ოთარ ფეფაძე
84 კგ	ვლადიმერ გეგეშიძე
96 კგ	გივი მორჩილაძე
+120 კგ	ოთარ ბოლქვაძე

თავისუფლები გათავისუფლდნენ
სამი მედალი ვილნიუსიდან



ვილნიუსში ახალგაზრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებმა სამი მედალი ჩამოთავრა. გუშინ ხალიჩაზე 55, 66, 84 და 120 კილოგრამიანი მოჭიდავეები გავიდნენ. ჩვენებურთაგან ოქროს მედალთან ყველაზე ახლოს ბაჩანა კარანაძე (120 კგ) მივიდა, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში წაიფორხაკლა.

ბაჩანა შეჯიბრში მეორე წრიდან ჩაერთო და გერმანელ პეტერ ჰიმბირტთან აშკარა უპირატესობით იმარჯვა. თურქ იასინ კილიჩის ძლევას ორი რაუნდი, აკმარა, ხოლო ამერიკელ ბიდე ოგუნვოლესას — სამი და ფინალში გავიდა. რუს ბელალ მახოვთან კი ვეღარას გახდა. როგორც დარბაზში მყოფი ქართული დელეგაციის წევრებისგან შეიტყვეთ, ამჯერად მარცხში მსაჯებს არანაირი რიგი არ უთამაშიათ.

ვიდრე კარანაძე ვერცხლის მედალს მოიპოვებდა, ქართველთა მონაგარს თავისი წილი ბრინჯაო ნიკოლოზ გაგნიძემ (84 კგ) შემატა. უზბეკ ზორბეკ სოხიევთანა, აზერბაიჯანელ მეჰმეთ იმაგულიევთან და ლატვიელ იმანტის ლაგოდსკისთან ჩვენებურმა ისე მოიგო, ერთი რაუნდიც კი არ დაუთმია, თუმც ნახევარფინალში ირანელ რასულ ტავაკოლისთან ვერაფერს გახდა და ნუგეშადა რეპეშაჟის ფინალიღა შერჩა. იქ გაგნიძემ ყაზახ ასკარ კატიევს სძლია.

გამარჯვებებით დაიწყეს მალხაზ ქურდიანმა (55 კგ) და მალხაზ მუზიაშვილმაც, (66 კგ), მაგრამ ორივე მეორე წრეში დამარცხდა და ბრინჯაოს შანსი მხოლოდ ქურდიანს შერჩა. რეპეშაჟშიც კარგად დაიწყო, სომეხი სურენ გინოსიანი ჩამოიცილა, თუმც ირანელ მუსტაფა აღაჟანიოზონბალაგი ჩვენებურზე ძლიერი აღმოჩნდა.

ხვალ იმავე ხალაიჩაზე ბერძენ-რომალეთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება.

ოთარ მაღლაკელიძე

ჯუდო

სამთვიანი ძალაში დარჩა

გამოძალვაში ეჭვმიტანილი ცნობილი ქართველი ძიუდოისტები ალექსი დავითაშვილი და გიორგი რევაზიშვილი წინასწარ სამთვიან პატიმრობაში დატოვეს. სასამართლოს ერთი კვირის წინანდელ გადაწყვეტილებას დარბაზში დებოში მოჰყვა და ადვოკატებმაც პროტესტი შეიტანეს. გუშინ კი სარჩელი დიდების რაიონის საოლქო სასამართლომ განიხილა და პირვანდელი სანქცია ხელუხლებელი დატოვა. გადაწყვეტილება უკვე საბოლოოა და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.



გიორგი რევაზიშვილი



ალექსი დავითაშვილი

უმედლო დღე

ახალგაზრდების ოლიმპიური ... ლინიანოში ისე ჩაიარა, ქართულ მედლებს ერთიც არ მიმატებია. არადა, წინა დღეს ვვარაუდობდით, ორი ქართველი ძიუდოისტიდან კვარცხლბეკს ერთი მაინც ხომ უწევსო. ოთარ ტვილდიანსა (73 კგ) და ბეთქილ ნავერიანს (81 კგ) მხოლოდ თითოჯერ მოუნდათ ტატამზე გასვლა. ტვილდიანმა ფრანგ ბენუა რომესთან წააგო, ხოლო ნავერიანმა ბელარუს ალექსანდრ ბოხუმთან. სამწუხაროდ, ფრანგიც დამარცხდა და ბელარუსიც და ჩვენებურებმა ბრინჯაოს შანსიც დაკარგეს.

პირველივე წრეში დამარცხდა და ვეღარც რეპეშაჟში გადაერთო ერთადერთი ქართველი ძიუდოისტი გოგონა ნათია ოძელაშვილიც. მისი მძლეველი სლოვაკი კატარინა კარნა აღმოჩნდა.

უიღბლო გამოდგა მეოთხედფინალი ჩოგბურთელ ოქსანა კალაშნიკოვასთვის. მან სლოვაკ კლაუდია ბოჟოვას ჯამში მხოლოდ სამი გეიმი აიღო — 2:6, 1:6.

მიუხედავად იმისა, რომ მესამე დღე ჩვენი სპორტსმენებისთვის უმედლოდ დასრულდა, მთლად წარუმატებელიც არ ყოფილა. როგორც „სარბიელის“ პირველი გვერდიდანაც შეიტყობდით, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ლატვიელ თანატოლებთან ფრედ — 2:2 ითამაშა, ფინალში გავიდა და, სულ ცოტა, ვერცხლის მედალი გაინაღდა.

ოთარ მაღლაკელიძე

სუმო

ჩვენს წინ მხოლოდ იაპონიაა

ტოკიოში სუმოს მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის 4 ქართველი, დავით გვენეტაძე, გაგა ჯუღელი, გიორგი ცაგურია და ლევან გორგაძეც მონაწილეობდნენ.

სუმიტომოები 85, 100, 100 კილოგრამზე მეტ და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი გუნდურ დისციპლინაშიც სცადეს ბედი.

ინდივიდუალურ შეჯიბრში 21 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ და ყველაზე უკეთ ლევან გორგოძე გამოვიდა, რომელმაც მხოლოდ ფინალი დათმო, ისიც იაპონელ სპორტსმენთან, რომელთანაც ჯგუფში გამარჯვებას მიაღწია.

ფინალი სუმოსთვის უჩვეულოდ დიდხანს, დაახლოებით 15 წამს გაგრძელდა და როგორც საქართველოს სუმოს ფედერაციის პრეზიდენტმა, თენგიზ რუხაძემ განაცხადა, იაპონელმა მხოლოდ გამოცდილების ხარჯზე შეძლო ჩვენებურის წაქცევა.

ვერცხლს ბრინჯაო გაგა ჯუღელმა შემატა, რომელმაც მესამე ადგილს უწია და ტურნირზე დამსწრე იაპონელებს ისე მოაწონა თავი, რომ მის ერთ-ერთ იაპონურ პრესტიჟულ სკოლაში დატოვებასაც დაეაბულდნენ

გუნდურ დისციპლინაში, სადაც 16-მა ნაკრები მონაწილეობა, ჩვენებურები მხოლოდ იაპონელებს ჩამორჩნენ და მეორე ადგილზე გავიდნენ, ჯგუფში კი მრისხანე მონღოლების დამარცხება შეძლეს.

შედეგად საერთო გუნდურ ჩათვლაში ქართულმა დელეგაციამ მეორე ადგილი დაიკავა და ეს უთუოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში სუმოს სკოლა არც კი არსებობს და ამ სპორტს ჭიდაობის სხვა სახეობებზე აღზრდილი თითო-ოროლა მოჭიდავე მისდევს.

ლადო ფულუკიძე

პანკრატიონი

უნესოდაც ვიყოჩაღეთ

ისრაელის ქალაქ სეჰოვოტში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა პანკრატიონში. ეს წესების გარეშე ბრძოლის ერთ-ერთი სახეობაა და ოთხ წონით კატეგორიაში ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

პაატა გიორგაძემ (64 კგ), ანზორ ელიბაშვილმა (71 კგ) და ჯემალ როსტომაშვილმა (85 კგ) ოქროს მედლებიც მოიპოვეს, იოსებ ახალაცმა კი ბრინჯაო ირგუნა, თუმცა, ალბათ, არც სოსოს გაუჭირდებოდა ოქროს მოპოვება, ერთი უსიამოვნო კურიოზი რომ არა.

რადგან 85 კგ წონით კატეგორიაში სპორტსმენი უკვე გვეყოლა, ახალაცმა წინა დაიკლო და იფიქრა, 76 კგ-ში ვიბრძოლებო, თუმცა ნაკრების მწვრთნელმა გელა გარუზაშვილმა ისრაელში ჩასვლის შემდეგდა შეიტყო, რომ ეს წონითი კატეგორია გაეუქმებინათ და ახალაცს ისევ როსტომაშვილის 85 კგ-ში გაყვანა მოუწია.

ლადო ფულუკიძე

კრივი

ამერიკის კონგრესმა კრივისთვისაც მოიცალა

ამერიკის კონგრესის ქვედა პალატის სპეციალურმა კომიტეტმა ხმათა უმრავლესობით (25-16 წინააღმდეგ) მოიწონა კანონპროექტი საერთო ეროვნული საკრივო კომისიის შექმნის თაობაზე.

ეს კომისია პროფესიული კრივის სფეროში მარეგულირებელი საკითხებით იქნება დაკავებული. კანონპროექტი შეიცავს დებულებას მოკრივეების, მენეჯერებისა თუ პრომოუტერებისთვის სანქციების გამცემი ორგანიზაციების საერთო ეროვნული საკრივო კომისიის შექმნის თაობაზე. ამ კომისიამ უნდა დაადგინოს საერთო ეროვნული სტანდარტები მოკრივეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, ცენტრალიზებული, სამედიცინო რეესტრის შექმნაში და რეიტინგებისა და კონტრაქტების შესადგენი ერთიანი კრიტერიუმები.

კანონპროექტის განხილვისას მიწვეულნი იყვნენ სანქციების გამცემი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც საკმაოდ მკვეთრად აპროტესტებდნენ მას მიღებას. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ნორმალური მუშაობისთვის ძალიან სრულად საკმარისია ის კანონები, რომლებიც ცალკეულ შტატებშია.

AFP ლონდონიდან

ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲙᲚᲐᲕᲡ, ᲞᲐᲠᲘᲖᲘ ᲙᲘ ᲓᲐᲚᲣᲞᲐ

ᲯᲔᲠ გაიმართა კანდიდატი ქალაქების პრეზენტაციები. თითოეულ ქალაქს საკუთარ თავზე მოსათხრობად საათნახევარი დაეთმო. აქედან ერთი საათი უშუალოდ ქალაქის წარდგენისთვის იყო გამოყოფილი. მომდევნო ნახევარი საათის განმავლობაში საგანაცხადო კომიტეტის წევრებს კითხვებზე უნდა ეპასუხათ.

თავდაპირველად საკუთარი თავი პარიზმა წარადგინა. შემდეგ ნიუ იორკი იყო, მას მოჰყვა მოსკოვი.

მოსკოველთა პრეზენტაცია დადგენილ დროზე ცამეტი წუთით ადრე დასრულდა. მოსკოვის წარმომადგენლებს ერთადერთი შეკითხვა დაუსვეს, ეს კი უკვე აშკარად მეტყველებდა იმაზე, რომ იქ შეკრებილთ რუსეთის დედაქალაქისადმი ინტერესი პრაქტიკულად საერთოდ არ ჰქონდათ, რაც მის მარცხს მოასწავებდა.

მოსკოვის შემდეგ ლონდონის ჯერი დადგა, ბოლოს კი მადრიდის. ამის შემდეგ მოისმინეს შემფასებელი კომისიის თავმჯდომარის ნავალ ელ მუტავაკელის პოლიტიკურად საკმაოდ კორექტული გამოსვლა, რომელმაც სიტყვა სოკის პრეზიდენტ ჟაკ როგს გადასცა.

ამ ბელგიელმა დოქტორმა ძალთა თანაფარდობაში მიკიბ-მოკიბვის გარეშე შეიტანა ნათელი. ოლიმპიური მოძრაობის მეთაურმა პირდაპირ დაასახელა ორი ქალაქი, რომლებიც სოკის შემფასებელი კომისიის დასკვნების საფუძველზე ყველა დანარჩენზე სუსტად გამოიყურებოდნენ. ეს ქალაქები იყო მოსკოვი და ნიუ იორკი, რომლებმაც, ჟაკ როგის სიტყვებით, „ვერ წარმოადგინეს ყველა საჭირო გარანტია.“ ამის მიუხედავად, სოკ-მა ეს ორივე აუტსაიდერი კენჭისყრაზე დაუშვა.

კენჭისყრის პირველ რაუნდში ბრძოლას გამოეთიშა მოსკოვი. სიურპრიზი არც მეორე რაუნდს მოჰყოლია, რომელმაც კიდევ ერთი დამარცხებული გამოავლინა — ნიუ იორკი.

მესამე რაუნდს მადრიდი შეეწირა, ფინალის კი პარიზი და ლონდონი შემორჩნენ.

მერე კი იყო თითქმის ერთსაათიანი მოლოდინი, რომელიც განსაკუთრებით უსასრულო, ალბათ, პარიზელებსა და ლონდონელებს ეჩვენათ. ამ დროს ლამის მთელი პარიზი ელისეს მინდვრებზე შეკრებილიყო, ხოლო ლონდონელები — ტრაფალგარის მოედანზე, სადაც, ისე, როგორც დანარჩენ მებრძოლ ქალაქებში, ვეება ეკრანები დაემონტაჟებინათ.

და აი, დადგა გადამწყვეტი წუთიც, როცა ჟაკ როგმა კონვერტი გახსნა და მასში ამოიკითხა გამარჯვებული ქალაქი — ლონდონი, რომელმაც პარიზს სულ რაღაც ოთხი ხმით ჯობა.

ამგვარად, ლონდონი გახდა პირველი ქალაქი, რომელიც მესამედ უმასპინძლებს ოლიმპიურ თამაშებს. პირველად ეს მოხდა 1908 წელს, მეორედ კი 1948 წელს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პირველი თამაშები იყო. მაშინ სწორედ ლონდონმა იხსნა ჩაშლის პირას მყოფი ოლიმპიური თამაშები, რომლის მასპინძლობის თავიც არც ერთ ქალაქს აღარ ჰქონდა.

მაინც, რამ განაპირობა ლონდონელთა გამარჯვება? თავისთავად ეს ქალაქი რომ ღირსი იყო ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისა, ამაში ეჭვი არც არავის ეპარებოდა.

ასეთივე ღირსეული იყო პარიზი, რომელსაც ყველა ფავორიტად მიიჩნევდა, მაგრამ ეტყობა, ამ ქალაქმა სულ ბოლო დღეებში დაკარგა ქომაგთა ნაწილი. ეს შესაძლოა საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკის ხუმრობებმაც განაპირობეს.



ვლადიმერ პუტინთან და გერჰარდ შროდერთან ჟაკ შირაკის ოხუნჯობა

გასულ კვირას, კალინინგრადში რუსეთის, გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერთა შეხვედრისას ჟაკ შირაკმა, შეიძლება ითქვას, გული ივჯერა ბრიტანულ სამზარეულოზე ხუმრობით. და ეს მაშინ, როცა კარს იყო მომდგარი სინგაპურის სესია, სადაც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი უნდა გამოვლენილიყო.

როგორც საფრანგეთის გაზეთი „ლიბერასიონი“ იუწყებოდა, ვლადიმერ პუტინი და გერჰად შროდერი გულიანად ხარხარებდნენ ფრანგი პრეზიდენტის ხუმრობებზე.

„ერთადერთი, რაც მათ (ინგლისელებმა) ევროპის სოფლის მეურნეობას მისცეს, ეს ძროხის ცოფია“ — იხსენებს ლიბერასიონი ჟაკ შირაკის ხუმრობას.

მაგრამ შირკს მხოლოდ ძროხის ცოფი არ გახსენებია:

„არ შეიძლება ვენდოთ იმ ხალხს, რომლებსაც ასეთი ცუდი სამზარეულო აქვთ“ — ესეც, როგორც ფრანგული გაზეთი იუწყება, შირაკის სიტყვებია.

საფრანგეთის პრეზიდენტი ზემოთქმულს არ სჯერდება და იაკის აბრს ასე ავითარებს:

„ამ ქვეყანას ფინეთის შემდეგ ყველაზე ცუდი სამზარეულო აქვს.“

მერე ჟაკ შირაკი ნატოსაც გადაწვდა, რაკი იქ ყოფილი ნატოს გენერალური მდივანი, ლორდი ჯორჯ რობერტსონი ეგულებოდა. ჰოდა, ჟაკ შირაკმაც გაიხსენა, თუ ერთხელ როგორ გაუმასპინძლდა მას ჯორჯ რობერტსონი შოტლანდიური სამზარეულოთი.

„აი, საიდან მოდის ნატოს პრობლემები“ — ირონიულად დასძინა შირაკმა.

იმ სიცილ-ხარხარში ვლადიმერ პუტინს, როგორც „ლიბერასიონი“ იუწყება, უცდია ჟაკ შირაკის უფრო მეტად პროვოცირება და უკითხავს, ჰამბურგერებზე რას იტყვითო, საფრანგეთის პრეზიდენტს კი პასუხად მოუგია, ჰამბურგერი ბრიტანულ საკვებზე უკეთესიაო.

ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ ძველთაგანვე ერთმანეთზე გადაკიდებული ბრიტანეთი და საფრანგეთი ახლაც ვერ შეთანხმებულან ევროპულ ბიუჯეტთან დაკავშირებთ.

ჟაკ შირაკი სინგაპურიდან შოტლანდიის ქალაქ გლენეგლსში გაფრინდა, სადაც დედოფალ ელიზაბეტ მეორის მიწვევით ვახშმზეა დაპატიჟებული დიდი რვიანის სამიტის სხვა წევრებთან ერთად.

იქაურ მენიუზე ჯერჯერობით არაფერს იუწყებიან, თუმც იმას კი ამბობენ, რომ სასტუმრო [illegible] სადაც გუშინ საზეიმო [illegible] გამართულიყო, სწორედ [illegible] რიგი კერძებით [illegible] ლა.

ასევე თუ ასე, ამ [illegible] და უშუალოდ სინგაპურის [illegible] ინგლისის დედაქალაქში [illegible] ლია ქიმაკის [illegible] კორექტულმა [illegible] რანგეთის დედაქალაქს [illegible] ის ოთხი ხმა [illegible] გამარჯვების [illegible]

მოუგანა და სიტყვებით [illegible] დმოსაცემია, თუ რა [illegible] დარბაზში.

იყო ლონდონელთა [illegible] და გიხარებული სახეები [illegible] ზელთა ასევე [illegible] დამწუხრებული სახეები [illegible] ლებიც. ოღონდ ერთი თუ [illegible] ლით ტირიდნენ, [illegible] ბისგან ქვითინებდნენ.

შეგახსენებთ, რომ [illegible] ზედიზედ [illegible] ლიდერთა წინა [illegible] ზმა გეოპოლიტიკური [illegible] გამო წაავლო [illegible] საფრანგეთის პრეზიდენტს [illegible] ბების გამო [illegible]

პარიზი ალბათ [illegible] ლი კანდიდატურის წამოყენების, [illegible] მაგრამ ამბავთაც [illegible] დეთ, რომ როგორც [illegible] ზადის საფრანგეთის [illegible] რაც არ უნდა [illegible] ნის მსოფლიოს [illegible] მას 2016 წლის [illegible] ბისკენ, რაკიდა [illegible] ლონდონის შემდეგ [illegible] წლების განმავლობაში, [illegible] მელიმე ქალაქმა [illegible] მაჯადას.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲭᲥᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

AFP სინგაპურიდან

პრინცესა ანა და სებასტიან კოე ჟაკ როგისგან ღებულობენ მილოცვას



AFP სინგაპურიდან

ინგლისელთა სიხარული სინგაპურში



რაფაელ ნადალი ჩამოუორმოცდაათდა

შვედეთის ღია პირველობა ბასტადი. თიხნარი. საპრიზო 302 ათასი €

პირველი წრე

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — **ხუან მონაკო** (ესპანეთი) 6:1 6:1; **კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — **ალექს კალატრავა** (ესპანეთი) 7:5 6:2; **ხუან კარლოს ფერერო** (5, ესპანეთი) — **ლუკაშ დლუჰი** (ჩეხეთი) 6:4 6:1; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — **რაემონ სლოიტერი** (ჰოლანდია) 2:6 6:1 6:4

უიმბლდონობის მერე ბალახზე მხოლოდ ერთგან, ამერიკულ ნიუპორტში ლაღობენ, ამქრის ძირითადი მასა კი ან დროებით შვებულებას იღებს, ან მცირე დროით ისევ თიხნარს მიუბრუნდება, რათა მერე უკვე (სექტემბერში) აშშ-ის ღია პირველობით გასასრულებელ სამაგარსაფრო სეზონს შეუდგეს.

ხვადთა ერთმა, ძირითადად ესპანურენოვანმა ნაწილმა — მაგალითისთვის — შვედურ ბასტადში გადაინაცვლა საიმქვეყნო ღია პირველობის გასათამაშებლადა და იქ საპრიზოდ დათქმული 302 ათასი ევროს გასაყოფად.

ესპანურ არმადასაც და საერთოდ ბასტადში მოქუჩებულ მთელ სუფრიონსაც კაცთა ამჟამინდელი მეორმეჩოგნე რაფაელ ნადალი ყოჩობს და ზემოთ ანგარიშებში რომ მისგან თვისტომ მონაკოს ძლევაა ნამცნობი, ეგ მისი 50-ე საამსეზონო გამარჯვება გახლავთ.

ეს კი დასტურ. გამოსარჩევი ამბავია, რაკილა ნადალის გარდა წლეულს ამ თამასას ოდენ ამქრის უპირობო უსტაბაში როჯერ ფედერერი გადავლებია. ოღონდ, უსტაბაშს ჯერ-ჯერობით ნადალზე მეტი ძიგებაც (58) მოუნაგრავს და ნაკლებიც (3) სხვათათვის მოუნაგერინებია, მაშინ როცა 19 წლის მალიორკელი თავისი 50 გამარჯვების წილ 8 მარცხს მოიძევს.

სხვაფრივ — ნადალის გარდა წარმატებით გაიმეორწრეველ მისმა გამოცდილმა თვისტომებმა, ტურნირის 2002 წლის ჩემპიონმა კარლოს მოიამა და ხუან კარლოს ფერერომ. აქედან მოიას როლანგაროსობის შემდეგ აღარ ეჩოგნავა, ფერერის რიგიანი საუიმბლდონო გარჯა კი მკითხველს ჯერაც უნდა ახსოვდეს.

იმარჯვა ტურნირის ორგზის ტიტულდამცველმა არგენტინელმა მარიანო საბალეტამაც, ვისაც ერთი სეტის დათმობა მოუხდა უსახელო ჰოლანდიელ სლოიტერთან.

სწორება დიადებისკენ

ფედერერი საყველადროო დიადემისთვის იგეშება

თუკი ადრე როჯერ ფედერერი გაურბოდა თავის სიდიადეზე საუბარს, ზედიზედ მესამე უიმბლდონობაზე გამარჯვების შემდეგ ის უკვე აღარ ვამორიცხავს წარსულის დიად კერპებიან გატოლების და — ვინ იცის — ეგებ მათზე აღმატების შესაძლებლობასაც.

მესამე უიმბლდონურმა ტიტულმა მის მიერ დიდი ძუზარადის ტურნირებზე ნაშოვნი მონაგარი ხუთამდე აიყვანა — და, შევახსენებთ, ლონდონური სეფეკოინდრის გარდა მას საჩემპიონოდ მელბურნული და ნიუიორკული სეფეშაგარსაფრებიც გაუჯეგავს (ორივე შარშან).

მოგაგონებთ ამასაც, რომ ზედიზედ სამჯერ უიმბლდონზე აქამდე მხოლოდ შვედ ბიორნ ბორგსა და ამერიკელ პიტ სამპრასს ემარჯვათ. ბორგმა ეს სულაც ხუთჯერ მოახერხა, სამპრასმა კი — ოთხჯერ. თუმცა ამ უკანასკნელს ეკუთვნის რეკორდი უიმბლდონზე ჯამში ნაშოვნი ტიტულების თვალსაზრისით. ეს რაოდენობა შვიდს შეადგენს.

კითხვაზე, ეცდება თუ არა ივი ბორგისა და სამპრასის საუიმბლდონო მიღწევათა დაჩრდილვას ან სჯერა კი, რომ ამგვარი რამ მას საერთოდ ჩოგანეწიფება, ფედერერი ახლა თითქოს დაღებითად პასუხობს. ის ამბობს, რომ საამჰამენტოდ თავი უკვე ამ ამოცანასთან შესაჭიდებლად მარილაც მზად მიაჩნია.

„ეს უიმბლდონობა ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო — ამბობს ივი — ეს არა მხოლოდ დიდი მუზარადის მეხუთე ტიტულია, არამედ ზედიზედ მეოცლილი მესამე უიმბლდონობაც, რის მოგებასაც ყველაფერთან ერთად სწორედ ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ ამით ბორგსა და სამპრასს გავეტოლებოდი.“

თუმცა სამპრასთან გატოლებამდე ფედერერს კიდევ ოთხი უიმბლდონობის მოგება აკლია — საამისოდ მან დიდი მუზარადის, სულ მცირე, კიდევ 9 ტურნირი უნდა მოიგოს.

. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული ელინოამერიკელი ყველა დროის ყველაზე მეტგზის სლემტიტულოსანთა ჩამონათვალში სწორედ 14 ტიტულით ლიდერობს.

ისე, თუ გავითვალისწინებთ, რომ მხიარული როჯერი ჯერ მხოლოდ 23 წლისაა და მართლაც ჯადოსნურ ჩოგბურთს თამაშობს, გამორიცხული ალბათ არაფერი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, თავად სამპრასი ასე ფიქრობს:

„მას შეუძლია, საჩოგნეთის მწვერვალში იმდენივე ხნის განმავლობაში დარჩეს, რამდენიც მე.“

ფედერერს სამპრასს მართლაც ყველაზე ხშირად ადარებენ. ეს შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ დიდი კორტიდან ამ ორიოდე წლის

როჯერ ფედერერმა უიმბლდონური თასი თავის ახალ მწვრთნელს ტონი როჩს ახარა

წინ წასული პისტოლ პიტის თამაში მეხსიერებიდან ჯერაც არ ამოშლილა. მაგრამ თავად ფედერერის მწვრთნელი ტონი როჩი თვლის, რომ მისი შეგირის სათამაშო სტილი უფრო ლეგენდარული ავსტრალიელის, მრავალთა მიერ ყველა დროის უდიადეს მეჩოგნედ მიჩნეული როდ ლეივერისას ეიდენტურება.

ნ6 წლის ლეივერი ამგვარი შედარებით მოხიბლულია:

„მას ყველაფერი ძალუძს. ადვილი შესაძლებელია, რომ ყველა დროის უდიადესი მეჩოგნე სწორედ ივი გამოდგეს.“

მართალია, ლეივერს პიტ სამპრასზე სამით ნაკლები სლემტიტული მოუხვეჭია, მაგრამ ის ყველას ორი ჩოგნით აღემატება იმის გამო, რომ ორგზის — 1962 და 1969 წლებში დიდი მუზარადის ოთხსავე ტურნირზე იმარჯვა ანუ საერთსეზონო „დიდი მუზარადი“ მოიმკა. ამგვარი რამ კაცთაგან მერე აღარავის გამოსვლია. ერთადერთი, ვინაც „დიდი მუზარადი“ მთელი კარიერის მსვლელობისას შეკრა, ანდრე აგასი გახლდათ. თავად სამპრასმა კი ერთხელაც ვერ შეძლო, როლანგაროსობაზე გაელაღა და სწორედ ამავე ტურნირზე არ უმართლებს ბედი ჯერ-ჯერობით ფედერერსაც.

სიმისოდ, რათა აუღებელ ციხე-სიმაგრის გატეხვა შეძლოს, შარშან უმწვრთნელოდ სამი სლემტიტულის მომრეწმა ფედერერმა წლევანდელი სეზონისთვის მწაფავად ზემოთ ხსენებულ ტონი როჩს უხმო, კაცს, ვინაც როლანგაროსობაზე 1966 წელს ნაჩემპიონება.

გეხსომებათ, რომ როჩისა და როჯერის თანამშრომლობის წინააღმდეგ საამსეზონო სეფეპარიზობის ნახევარფინალში გრიგალისებრ ამობობოქრდა 19 წლის ესპანელი ფასკუნჯი რაფაელ ნადალი, რომელსაც იმ ჯერზე ალბათ ვერც როჩი და ვერც ლეივერი ვერ მოერეოდნენ. მაგრამ არავინ იცის, რა იქნება გაისად და ეგებ ფედერერმა მაშინ მაინც შეძლოს ნავსის გატეხვა.



ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი

არმსტრონგი კვლავ ყვითლად მოგვევლინება

„ტურ დე ფრანსის“ მეხუთე ტურში ველომხედრებმა შამბორიდან მონტარჟიმდე 183 კმ იქროლეს, თუმც ამ რბოლას საერთო ჩათვლაზე არ უმოქმედია.

ლენს არმსტრონგს, რომელმაც ფინიშის ხაზი ორმოცდამეხუთემ გადაკვეთა, იგივე დრო დაეწერა, რაც პირველ ადგილზე გასულ ავსტრალიელ რობი მაკივენს.

ცვალებადმა ქარმა და წვიმამ შამბორის ციხესიმაგრიდან ინდუსტრიულ ცენტრ მონტარჟიმდე დაგებულ ტრასაზე რამდენიმე შეტაკება გამოიწვია, თუმცა საბოლოოდ მრბოლელთა ჯგუფიდან მნიშვნელოვნად დაწინაურება ვერავინ შეძლო.

მაკივენმა ბოლო მონაკვეთში აჯობა ბელგიელ ტომ ბუნენს, რომელსაც წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“ უკვე ორჯერ უპირველია. ეს გამარჯვება ავსტრალიელისთვის წელს პირველია, სულ კი ფრანგული რბოლის ეტაპებზე ექვსჯერ მოუხერხებია გაპირველება.

მეექვსე ეტაპი დღეს ტროაში დაიწყება და ნანსში დამთავრდება. ყვითელი სამოსი კვლავ ლენს არმსტრონგისა იქნება, რომელმაც ლიდერის მაისურა თანამემამულე დევიდ ზაბრისკის მეოთხე ტურში აართვა.

ლადო ფულუკიძე

მეხუთე ეტაპი. 6 ივლისი — შამბორი-მონტარჟი. 183 კმ

1	რობი მაკივენი (ავსტრალია, დავიტამონ-ლოტო)	3 სთ 46 წთ	00 წმ
2	ტომ ბუნენი (ბელგია, ინერგეტიკი)		
3	თორ ჰუშოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლე)		
4	სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი)		
5	ანჯელო ფურლანი (იტალია, დომინა ვაკანცე)	ყველა	იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1	ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქავერი)	13 სთ 45 წთ	12 წმ
2	ჯორჯ ჰინკაპი (აშშ, დისქავერი)		55 წმ
3	იენს ფოიგტი (გერმანია, სი-ეს-სი)		1 წთ 04 წმ
4	ბობი ჯულიჩი (აშშ, სი-ეს-სი)		1 წთ 07 წმ
5	ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი, დისქავერი)		1 წთ 14 წმ



ლენს არმსტრონგი

ლომეების ტურნე 2005

გუნდია თუ ლაზარეთი

გუშინწინ ბრიტანელ-ირლანდიელი „ლომები“ ოკლენდის სტადიონზე ადგილობრივ გუნდს ეთამაშნენ და საკმაოდ უინტერესო მატჩი 17:13 მოიგეს.

მთელი თამაშის განმავლობაში „ლომებს“ მცირე უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა ბოლო მეოთხედში მასპინძლები გააქტიურდნენ და ევროპელები თუ არ დამარცხდნენ, პირველ რიგში ირლანდიელი რონან ოგარას ზუსტ საჯარიმო დარტყმებს უნდა უმადლოდნენ.

ქულების უმეტესობა სტუმრებმა პირველ ტაიმში დააგროვეს, ჯერ ჰოჯსონის ერთი და ოგარას ორი ზუსტი საჯარიმოს წყალობით, რომელთაც უილიამსის ერთი გარდაუსახავი ლელოც უნდა მივუმატოთ. ტაიმიც მათვე მოიგეს 14:3, ერთადერთი საპასუხო საჯარიმო დარტყმა უარდის ანგარიშზეა.

მეორე ტაიმში იმავ უარდმა ერთხელ საჯარიმო გაიტანა, ერთხელ კი ნაკევას ლელო გარდასახა. სტუმართაგან ისევ ოგარამ იყოჩაღა და ერთხელ კიდევ გააძვრინა ბურთი ძელებს შორის.

17:13 ლოგიკური შედეგია და ევროპელებმა გამარჯვება ალალად დაიმსახურეს, თუმცა ძვირად კი დაუჯდათ ოკლენდური ზეიმი.

ჯონი უილკინსონს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. გუნდის ექიმის თქმით, ინგლისელი ერთ-ორ კვირაში გამოჯანმრთელდება, მაგრამ „ლომებისთვის“ ეს ვერაფერი ნუგეშია. 9 ივლისადმე სულ ცოტა დრო რჩება და ვუდვორდს სახელიანი ათიანის გარეშე მოუწევს გუნდის დაყენება.

ჩარლი ჰოჯსონი, რომელსაც უილკინსონი უნდა შეეცვალა, თავადაც ლაზარეთშია და გუნდს ვერ დაეხმარება. გეევინ ჰენსონიც დაშავებულა და მესამე ტესტ-მატჩამდე მისი გამოჯანმრთელებაც არ ესწრება.

ოლი სმიტს ნეკნი აქვს გატეხილი, ენდრიუ შერიდანს მუხლის ტრავმა აწუხებს, ბენ ქეის კი თვალი დაუშავდა.

ამხელა დანაკარგი ნებისმიერი გუნდის მწვრთნელს დააღონებს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ შეგვიძლია ლაზარეთში აღმოჩენილთა სია უფრო გავაგრძელოთ: გარეტ თომასი, გეთინ ჯენკინსი, ნილ ბეკი, შეინ ჰორგანი, უილ გრინვუდი. საკმარისია? რა თქმა უნდა, მაგრამ არც ეს არის სრული ჩამონათვალი.

ადრე დაშავებული ტომ შენკლინი და ბრაიან ოდრისკოლიც გაიხსენეთ და დენი გრიუკოკიც მიათვალეთ, რომელიც მოედანზე ზედმეტად აგრესიული გამოხტომების გამო რაგბის დროებით ჩამოაცილეს.

ვინღა დარჩაო, იკითხავთ და სავსებით მართებულადაც და თუ სერ კლაივ ვუდვორდმა პასუხი 9 ივლისამდე ვერ მოძებნა, შეიძლება თავად მოუწიოს „ლომების“ წითელი მაისურით ახალი ზელანდიის ნაკრების წინააღმდეგ თამაში.

ლადო ფულუკიძე

რაიკონენმა სილვერსტოუნში უკვე მოიგო?

კვირას საფრანგეთში გამართული მორიგი ეტაპის შემდეგ მეფორმულეებს ხეირიანად არც დაუსვენიათ, უკვე ინგლისში არიან და „სილვერსტოუნის“ ლეგენდარულ ტრასაზე ხვალ თავისუფალ ვარჯიშებს ჩაატარებენ.

ამგვარი დაძაბული გრაფიკი — წლევანდელ 19-რბოლიან ჩემპიონატში ეტაპების ექვსი ასეთი „გადაბმული“ წყვილია — ფორმულა 1-ში არასოდეს ყოფილა. და მაინც, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია გაისად კიდევ ერთი რბოლის დამატებას გეგმავს. კონკრეტულად ჯერ არაფერია გადაწყვეტილი (მომავალი სეზონის კალენდარი ნოემბერ-დეკემბერში დამტკიცდება), მაგრამ წინასწარ გრაფიკში ოცი დიდი პრიზის თარიღია გათვალისწინებული.

რაც შეეხება „სილვერსტოუნს“, შელახული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიუხედავად, გარკვეული ხარვეზები მაინც რჩება, თუმც ყველა ბილეთი უკვე კარგა ხანია, გაყიდულია და კვირას ავტოდრომზე ასი ათასიან ანშლაგს ელიან.

ფავორიტად წინა რბოლაში მეორე ადგილზე გასულ კიმი რაიკონენს თვლიან და არა „მანი კურზე“ უზარმაზარი უპირატესობით მომგებ ფერნანდო ალონსოს. შეგახსენებთ, ფინელმა კვალიფიკაციაში მესამე შედეგი აჩვენა, მაგრამ რადგან თავისუფალი პრაქტიკის შემდეგ მის „მაკლარენზე“ „მერსედესის“ ძრავა შესაცვლელი შეიქნა, რბოლის სტარტზე ათი საჯარიმო პოზიციით ჩამოაქვეითეს.

მეტად უხეირო, მე-13 სასტარტო საფეხურის მიუხედავად „ყინულის კაცმა“ ბრწყინვალედ იბრძოლა და ფინიშთან მეორე მიიჭრა. ეს შთამბეჭდავი მიღწევა იყო და რაიკონენიც საკვირაოდ დიდ იმედზეა:

„იმის გათვალისწინებით, თუ როგორ უკანიდან დავიწყე „მანი კურზე“ რბოლა, მეორე ადგილით, ცხადია, კმაყოფილი ვარ. საჩემპიონო ბრძოლაში ფერნანდოს მხოლოდ ორი ქულა დავუთმე. მანქანა ჩინებულად მუშაობდა და სულიერ საკვალიფიკაციო შესამე პოზიციიდან რომ ამელო, მჯერა, გამარჯვებას მოვიპოვებდი. იმედია, ოლიდი სილვერსტოუნშიც ასეთივე სწრაფი იქნება და შევძლებ „მაკლარენისთვის“ მნიშვნელოვანი ტიტულის მოგებას.“

კონკურენტებიც წარმატებას „ალმის უწინასწარმეტყველებენ. ნეტპიონატის ლიდერ ალონსოს აქვს რაიკონენს შანსი აქვს, ისევე, როგორც საფრანგეთში; „სილვერსტოუნი ნამდვილად არაა ჩვენი მანქანებისთვის იდეალური ადგილი, ამიტომ მოგების შანსი „რენოს“ აქვს. სიმართლე რომ ითქვას, ძალიან სიმუში, რასაც შეიძლება მივაღწიოთ, საპრიზო ადგილია“

ჯენსონ ბატონი (BAR) „ალბერ დინამიკის გათვალისწინებით, „მაკლარენი“ ითითქმის უნაკლოა და რაკი სილვერსტოუნში სწორედ აეროდინამიკური მარჯვენაბლეები თამაშობს გადამწყვეტ როლს, ვფიქრობ, რაიკონენი და მერსედესი ადვილად ჩამოგვიტოვებენ და ლიდერად მოიგებენ.“

ალონსომ წლევანდელი ეტაპიდან ათიდან ხუთი ეტაპი მოიგო და ოთხ საბამისად, 24 და 29 ქულით უსწრებს მეორე-მესამე ადგილის მყოფთ რაიკონენს და მისტერ ბინ მახერს. ასეთი შთამბეჭდავი ასპარეზობის მიუხედავად, 23 წლის ესპანელი ოვლის, რომ ჩემპიონის ტიტულზე ფიქრი ჯერ უადრესია და სწორედ ამ ორ მეტოქეს მაინც ეს თავის უმთავრეს კონკურენტებად.

ბოლოს იმაზე, რომ 34 წლის შოტლანდიელმა დევიდ კულთარდი გააგრძელა კონტრაქტი „რენოს“ ბელთან“. ბევრი თვლიდა, რომ მიდინარე სეზონი ვეტერანისთვის უკანასკნელი იქნებოდა, მაგრამ „წითელი ხარები“ მისი ჯერითაა „ალაოვილები არიან და 2006 წლის ბოლომდე ითანამშრომლებენ.

გია ახალაძე



ინგლისში ფავორიტად კიმი რაიკონენს თვლიან

92-ე ტური

გახურდა ტურ დე ფრანსი და ჯერჯერობით ლიდერის ყვითელი მაისურა ამერიკელ დეივიდ ზაბრისკის აცვია. 92-ე ტური კი მთელი ამბით მიმდინარეობს. ნახეთ, როგორი მანქანა გამოუგორებიათ კოხტა გოგოებს, ტურსა და ბლუას შორის გაფენილ გზაზე, სადაც შეჯიბრის მეოთხე, გუნდური რბოლა მიმდინარეობს.

ბადრო

აი, ასეთი შთამბეჭდავი ფოტო გამოვიდა. ლოზანაში მიმდინარე მძლეოსანთა შეჯიბრში უნგრელი ზოლტან კოვაგო ბადროს ტყორცნის.

შიმბლდონელი ინდუსი

ინდო ჩოგბურთელმა მაჰეშ ბჰუპატიმ შერეულ წყვილთა უიმბლდონი მოიგო მარი პირსთან ერთად. ჰოდა, შინ დაბრუნებულს საჩუქრებიც დააყარეს. განსაკუთრებით დასავლეთ ბენგალის შტატში, თავის სამშობლოში. იქაურმა ჩინოსნებმა დიდი პატივი მიაგეს.

ცოლქმრული კაიაკობა

გერმანელმა რაინერ ულმმა და მისმა ავსტრიელმა ცოლმა ფრანცისკა გოლმანმა გადაწყვიტეს ერთკაცა კაიაკებით 10 ათასი კილომეტრი იცურონ ევროპულ წყლებში. მოგზაურობა ბრიუსელიდან დაიწყო და ზამთარში ჰამბურგში უნდა დასრულდეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნასიბაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აბულაძიანი, გიორგი ლარგანია, გიორგი კამაკიძე, სოსო კიტორეიშვილი, ლადო ხოშერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge